# საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge






იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძოლის გაწევა ყველა უპატიოსნობაზე უსაძაგლესია.


შაბათი, 3 სექტემბერი. 2016 წ. №164 (8056), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.


## ხელისუფლების საყურადღებოდ!

## მეცნიერებთან ერთად შეუძლებელსაც შევძლებთ!

მომავლის საქართველოსათვის უაღრესად მნიშვნელოვანი დასკვნა გააკეთა მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფმა „ეროვნული თანხმობის პარლამენტისათვის“. მათ მიაჩნიათ და ეჭვი მეპარება, რომ ერთი მოაზროვნე კაციც კი არ გაიზიარებს მათ მწარე შეფასებას:

- **არ შეიძლება ამ საბანკო სისტემის პირობებში სერიოზულ ეკონომიკაზე ფიქრი.**

**არ შეიძლება ამ კაბალურ საპროცენტო განაკვეთების პირობებში საუბარი მოსახლეობის კეთილდღეობაზე.**

- **შველა უნდა იპოთეკარებს ისე, რომ ეს მივაღწიოთ საბანკო სისტემის გაჯანსაღებით.**

როცა 1997 წელს მთავრობის გაფართოებული სხდომის ტრიბუნიდან ვთქვი, რომ საქართველოს ჰყავს მდიდარი ბანკირები, დაქცეული ეკონომიკა და ბანკების მიერ უმძიმეს მდგომარეობაში ჩაყენებული მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა – ლამის მტრად გამომაცხადეს!

ვწუხვარ, რომ ჩემი პროგნოზი გამართლდა.

დღეს შექმნილი მდგომარეობა, ჩემი აზრით, მაშინდელზე უარესია. როგორც ჩანს, ბანკირებს ვერც მთავრობები ერევიან, ვერც პოლიტიკური გაერთიანებები. ერთადერთს, ვისაც ამ ბრძოლის, ქართული ეკონომიკის, ქართული ბიზნესის, რაც მთავარია, ხალხის სასარგებლოდ დასრულება შეუძლია, სწორედ მეცნიერება, გაბედული მეცნიერების ერთობა და ხალხის მხარდაჭერაა.

**ვფიქრობ, მეცნიერები ამ ბრძოლას ბოლომდე მიიყვანენ.**

იხ. 3 გვ.



5

## ქართული მთის აუღორძინებლად საქართველო ვერ გადარჩება!

იყო დრო, როცა ჩერჩილი, ერთი დედას არ აგინდებდა კომუნისტებს (რადგან მაინც ინგლისელი ლორდი იყო), თუმცა ლანძღვას არ აკლებდა, მაგრამ როდესაც მან თქვა, რომ რუსეთის გარდა ჩვენ ხსნა არ გვაქვსო, არავის უთქვამს მისთვის, გუშინ შენ არ იყავი, რუსეთზე საშინელებას ლაპარაკობდიო? ამიტომ ეს კითხვა პრიმიტიულია.

## „სად იყავით 2012 წლამდე?!“



4



10

## ანზორ ლეჟავა
## გოლიათის გზა

## საქართველო – ღვინის აკვანი და ღვინის ახალი ექსპორტიორი ქვეყანა

6

## სასტუმროების ნახევარი ბოლო ოთხ წელიწადში აშენდა

## როსტომ ჩხეიძე



## ზუცკიური ბოლოკებით



7

### ანონსი

მორიგ ნომერში:

ნაპოლეონ ქარქაშაძე:

## სად გაქრა საერთო-სახალხო საკუთრება!



11

## რატომ იჩეხება ტყე?..

რატომ არ ჩატარდა ბოლო წლებში ბორჯომში ხეების სანიტარიული ჭრა და რატომ გახდა საჭირო წელს მათი მასობრივი გაჩეხვა?



# კურსდამთავრებულები ოფიცრის სამხრეებით

**საქართველოს თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში იუნკერთა ბატალიონის მეოთხე კურსის 104 და ოფიცერთა მომზადების საკანდიდატო კურსის 75 კურსდამთავრებულის გამოშვებისადმი მიძღვნილი საზეიმო ცერემონიალი გაიმართა.**

კურსდამთავრებულებს აკადემიის დასრულება პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა, თავდაცვის მინისტრმა ლევან იზორიამ, გენერალური შტაბის უფროსმა ვახტანგ კაპანაძემ და აკადემიის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა მიულოცეს. სწავლის პერიოდში მათ შეისწავლეს საერთო საჯარისო ტაქტიკა, გაიარეს საარტილერიო და ჯავშანსატანკო მომზადება.

კურსდამთავრებულბს ოფიცრის პირველადი სამხედრო წოდება — ლეიტენანტი მიენიჭათ.

ოფიცრები გენერალური შტაბის სტრუქტურულ ქვედანაყოფებში გადანაწილდებიან, ხოლო სამხედრო კარიერული ზრდის შემდეგ ეტაპებზე ოფიცრის საკარიერო კურსებს გაივლიან.

# ირმა ინაშვილი „სამართლიან არჩევნებს“ სასამართლოში უჩივლებს

**„დავით-თარხან მოურავი, ირმა ინაშვილი, საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, გაერთიანებული ოპოზიციის“ ერთ-ერთ ლიდერის ირმა ინაშვილის განცხადებით, პარტია არასამთავრობო ორგანიზაცია „სამართლიან არჩევნებს“ სასამართლოში უჩივლებს.**

ამის შესახებ ინაშვილმა ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის კომენტირებისას განაცხადა, რომლის მიხედვით „დავით-თარხან მოურავი, ირმა ინაშვილი, საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, გაერთიანებული ოპოზიციის“ ოფისის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ჯიხურებიდან მოქალაქეებს უფასო საკვები პროდუქტი ურიგდებათ.

**„ჩვენ ვგავართ ისეთ არაკომპეტენტურ ხალხს, კანონების უცოდინარ ხალხს, რომ ჩვენი ოფისის წინ, სულ რაღაცა 5-10 ნაბიჯში მოვაწყოთ საქველმოქმედო სასადილო და გავწიოთ ქველმოქმედება?! ეს არის ცინიზმი, ეს არის მართლა აბსურდი და ამაზე სერიოზული კომენტარის გაკეთებას საჭიროდ არ ვთვლი, იმიტომ რომ ჩვენს პარტიას არავითარი შეხება არ აქვს იმ ქველმოქმედებასთან, თუ იმ სავაჭრო-კომერციულ საქმიანობებთან, რაც ჩვენი ოფისის გარშემო მიმდინარეობს“,** — განაცხადა ინაშვილმა. მისი თქმით, პარტია „სამართალინ არჩევნებს“ სასამართლოში უჩივლებს, იმიტომ რომ ეს არის ანგაჟირებული ორგანიზაცია.

# რიმა ბერაძე 4 000 ლარით დაჯარიმდა

**თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე რიმა ბერაძე 4 000 ლარით ჯარიმდება. საქმე ეხება პედაგოგების უფასო სამედიცინო გამოკვლევებს.** ბერაძე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გადაწყვეტილებით დაჯარიმდა. აუდიტის სამსახურში აცხადებენ, რომ უფასო სამედიცინო მომსახურება 40 პედაგოგს ჩაუტარდა.4 000 ლარით ჯარიმდება ასევე, ის არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც ბერაძესთან ერთად ღონისძიებას ახორციელებდა.

**„როგორც გახსოვთ 40-მდე პედაგოგისთვის განხორციელდა უფასო სამედიცინო გამოკვლევა ერთ-ერთ სამედიცინო დაწესებულებაში. ასევე, ამ პროცესის ორგანიზებაში ჩართული იყო ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაცია. ჩვენ ჩავთვალეთ, რომ ეს პროექტი განხორციელდა კონკრეტული პოლიტიკური სუბიექტის სასარგებლოდ და ეს არის „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი რიმა ბერაძე. შესაბამისად, ჩვენ ვთვლით, რომ ეს იყო სამართალდარღვევის შესაბამისი ნორმით გათვალისწინებული ქმედება და ამიტომ, ამ მტკიცებულებების საფუძველზე სასამართლოს მივმართავთ“,** — განაცხადა გენერალურმა აუდიტორმა ლაშა თორდიამ. თბილისის საკრებულოს დეპუტატი რიმა ბერაძე აუდიტის სამსახურის დასკვნას არ ენდობა:

**„აუდიტის სამსახურმა მიმართა სასამართლოს ჩემი დაჯარიმების მოთხოვნით. ჩემთან, როგორც პოლიტიკოსთან, სიკეთის კეთების გარდა, აუდიტის სამსახურს მეტი სადაო თუ არ აქვს, ეს ღიმილის მომგვრელია...აუდიტის სამსახური თურმე მოითხოვს, რომ დავჯარიმდე და ამ მოთხოვნით მიმართა სასამართლოს. მე მჯერა სასამართლოსი, დაველოდები სასამართლოს გადაწყვეტილებას და მეც მივმართავ სასამართლოს“,** — აღნიშნა ბერაძემ ჟურნალისტებთან საუბრისას.

# ქუთაისელებსაც კაი მადა ჰქონიათ

**პოლიტიკური გაერთიანების „ახალი საქართველოს“ ინფორმაციით, 2016 აპრილის თვეში ქუთაისის მერიის მაღალჩინოსნებზე 43 450 ლარის ოდენობით, შტატგარეშე თანამშრომლებზე 30 760 ლარით, დანამატის სახით 109 557 ლარის ოდენობით თანხაა გაცემული. „ახალი საქართველოს“ წარმომადგენლის ზაალ ხონელიძის განცხადებით, მერიის მაღალჩინოსნებზე სისტემატიურად გაიცემა დანამატის სახით ხელფასის 40%, სამსახურის უფროსებზე კი ხელფასის 30 %. მისი თქმით, მერის მოადგილეები ნოდარ მიქიაშვილი და კოტე ქავთარაძე დამატებით ხელფასის 40%-ს, სამსახურის უფროსები კი ხელფასის 30%-ს იღებენ.**

მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის ზვიად ჯავახიას განმარტებით პრემიებს დაბალ რგოლში მომსახურე პერსონალიც იღებს, თუმცა ინფორმაციის კონფიდენციალურობიდან გამომდინარე, მხოლოდ მაღალჩინოსნების მიერ მიღებული პრემიები გაასაჯაროვეს. ჯავახია ამბობს, რომ პრემიები დამსახურების მიხედვით გაიცემა.

# ყოჩაღ, მოლდოველებო... სირცხვილი – სომხებო!

**ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ოლეგ არშბა მოლდოვაში არ შეუშვეს.**

ამის შესახებ Спутник-Абхазя წერს. ოლეგ არშბა კიშინიოვის საერთაშორისო აეროპორტში დააკავეს და უკან გააბრუნეს. არშბა დნესტისპირეთის დე ფაქტო ხელისუფლების მიწვევით ტირასპოლში აპირებდა ჩასვლას, სადაც გუშინ არაღიარებული რესპუბლიკის შექმნის 26-ე წლისთავი იზეიმეს.

* * *

**სომხეთის პრეზიდენტისა და აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლების წარმომადგენლების შეხვედრის შესახებ „პირველ რადიოსთან“ პაატა დავითაია ავრცელებს ინფორმაციას.** დავითაიას განცხადებით, ე.წ. ყარაბაღის დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში სერჟ სარგსიანისა და აფხაზეთის ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის კან ტანიას შეხვედრა შედგა. შეხვედრის ამსახველი ფოტომასალა კან ტანიას „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზეც აქვს გამოქვეყნებული:



**„რამდენიმე დღის წინათ სომხეთის პრეზიდენტი შეხვდა აფხაზეთის დელეგაციას ყარაბაღში, როდესაც იყო ე.წ. ყარაბაღის დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები, აფხაზეთის მხრიდან მიწვეული იყო ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე კან ტანია, ერთობლივი სადილი გამართეს და ოფიციალური მიღება ჰქონდა სომხეთის პრეზიდენტს. ეს ყოვლად აღმაშფოთებელია იმიტომ, რომ სომხეთი აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და აქედან გამომდინარე დღეს ხდება ის, რომ პრეზიდენტი ფაქტიურად ღებულობს ოფიციალურ დელეგაციას სეპარატისტული სახელმწიფოსი, რაც ყოვლად მიუღებელია. მინდა, მივმართო საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, მიიღოს მკვეთრი ზომები, დაიბარონ სომხეთის ელჩი და მოსთხოვონ ახსნა-განმარტება, თუ რატომ შეხვდა ჩვენი მეზობელი ქვეყნის პრეზიდენტი აფხაზეთის დელეგაციას, კერძოდ კი ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს“,** — აცხადებს დავითაია.

* * *

**სომხური მხარის განმარტებით, სომხეთის პრეზიდენტი სერჟ სარგსიანი საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლებს არ შეხვედრია, — განაცხადა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გიგი გიგიაძემ ჟურნალისტებთან.** მისი თქმით, გავრცელდა ინფორმაცია სავარაუდო შეხვედრის შესახებ აფხაზეთის საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლებსა და სომხეთის პრეზიდენტს შორის.

**„ამასთან დაკავშირებით საგარეო საქმეთა სამინისტრომ დაუყოვნებლივი რეაგირება მოახდინა. ჩვენი ელჩი სომხეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში ესაუბრა მინისტრის მოადგილეს. გვქონდა პირადი საუბარი საქართველოში აკრედიტებულ სომხეთის ელჩთან. სომხური მხარის განმარტებით, არანაირ შეხვედრას საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლებთან ადგილი არ ჰქონია“,** — განაცხადა გიგიაძემ. მისივე თქმით, ეს არის მორიგი პოლიტიკური სპეკულაცია, რომელსაც საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლები ხშირად მიმართავენ.

**P. S მართლაც — ფიცი მწამს, ფოტო მაკვირვებსო, ჰქვია ამას. ფაქტია, რომ სომხეთის პრეზიდენტ სერჟ სარგსიანთან აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობის წარმომადგენელთა შეხვედრა და ამასთან დაკავშირებით ფოტოები „ფეისბუქში“ აფხაზეთის ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე კან ტანიამ გაავრცელა, ხოლო ეს ინფორმაცია ე. წ. აფხაზეთის ე. წ. პრეზიდენტის ვებ-გვერდზეა გავრცელებული. დელეგაციას კი ე. წ. ვიცე-პრეზიდენტი ვიტალი გაბნია ხელმძღვანელობდა.**

# რახან გლდანის ტბა დასუფთავდა, იმედია, ჩეჩმებსაც მოაწყობენ

**„ირაკლი ალასანია-თავისუფალი დემოკრატების“ გლდანის მაჟორიტარობის კანდიდატმა ამირან გიგუაშვილმა თბილისის მერიის წინ გამართა აქცია სახელწოდებით „ჩეჩმა თბილისის მერიასთან“ და პლასტიკატისგან დამზადებული ჩეჩმის იმიტირებული ვერსია მიუტანა თბილისის მერს.**

ამირან გიგუაშვილის განცხადებით, აქციის გამართვას აქვს თავისი ძალიან მკაფიო მიზეზი, რადგან გლდანის რაიონის სოფელ გიორგიწმინდის მოსახლეობა, სადაც დაახლოებით 3000 ოჯახი ცხოვრობს განიცდის ისეთ ელემენტარულ პრობლემას, როგორიცაა კანალიზაციის სისტემის არარსებობა. ფაქტია და ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მათ ყველა მთავრობის დროს არაერთხელ მიმართეს ხელისუფლებას ამ საკითხის გადაწყვეტის მოთხოვნით, მაგრამ უშედეგოდ.

21 საუკუნეში, თბილისში არის რაიონი, სადაც ადამიანებს არ აქვთ გზა, ელემენტარული საცხოვრებელი პირობები, ინტერნეტი, სკვერი და, რაც მთავარია, არ აქვთ კანალიზაცია. ამასთან, არც გლდანის რაიონის გამგეობის ბიუჯეტში და არც დედაქალაქის ასიგნებებში ამ ტიპის ხარჯთაღრიცხვა გათვალისწინებული არ არის. პრობლემის გადაწყვეტისათვის მოსახლეობამ მიმართა ასევე თბილისის წყლის კომპანიას, მაგრამ უშედეგოდ.

რაც მთავარია, ამდენი ხნის განმავლობაში პრობლემის გადაწყვეტისათვის არავითარ აქტივობას არ ახორციელებენ ოცნების წარმომადგენლები — გლდანის მაჟორიტარი დეპუტატი სოსო ჯაჭვლიანი და თბილისის საკრებულოს დეპუტატი მურთაზ შელია. აქციის მიზანია, როგორმე იქნებ გამოფხიზლდეს დავით ნარმანია და თბილისის მერიის შესაბამისმა სტრუქტურებმა მოახდინონ რეაგირება. აქვე მნიშვნელოვანია, რომ 17 აგვისტოს ჩატარებული აქციის შემდეგ, როდესაც „ირაკლი ალასანია — თავისუფალი დემოკრატების“ გლდანის ორგანიზაციის ინიციატივით გლდანში პატარა ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე მოეწყო დასუფთავების აქცია. შემდეგ სიმბოლურად მოხდა ნაგვის საჩუქრის სახით გამოგზავნა თბილისის მერიისათვის, კეთილმოწყობის სამსახურმა ნაწილობრივ დაასუფთავა აღნიშნული ტერიტორია. ეს გვაძლევს საფუძველს ვარაუდისთვის, რომ ამ აქციით კიდევ ერთხელ მივაღწევთ დასახულ მიზანს.

# მეცნიერებთან ერთად შეუძლებელსაც შევძლებთ!

(პირველი გვერდიდან)

ასევე უაღრესად გაბედულად და დღევანდელი საქართველოსათვის შენიღბული კორუფციის წინააღმდეგ საიმედოდ მეჩვენება მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფის ეს შეფასებაც:

- **„არ შეიძლება ქართული ეკონომიკის მომავალზე საუბარი შუალედური (საშუამავლო) ფირმების ასეთი თავხედობის პირობებში, როცა დაზარალებულია მწარმოებელი და მომხმარებელი და ფუფუნებაში ცხოვრობს ხელისუფლების მიერ გაყოყოჩებული შუალედური რგოლი“.**

არა მარტო მეცნიერებს, არამედ მთელ ქვეყანას უნდა გვაფიქრებდეს ეს დასკვნა:

**ჩვენ სერიოზულად გვაშფოთებს, რომ მინიმუმ ოთხი ქალაქი საქართველოში, სადაც ცხოვრების გამოკვეთილად კარგი პირობები უნდა იყოს, ყველაზე უარეს მდგომარეობაშია. ჩვენ ხალხს ვეტყვით სიმართლეს, თუ რატომ არის ასეთი მძიმე მდგომარეობა იმ ოთხ ქალაქში – ფოთში, ზესტაფონში, ჭიათურასა და ბოლნისში!**

კარგია, რომ მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფი კვლევის პირველი შედეგების გამოქვეყნებას სექტემბერშივე აპირებს.

ჩვენ, „თეთრებმა“, უარი ვთქვით, როგორც ეს დღეს ჩანს, დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე ბინძური საპარლამენტო არჩევნებში პარტიით მონაწილეობაზე... პოლიტიკურმა საბჭომ უაზროდ ჩათვალა „თეთრების“ იმ არჩევნებში მონაწილეობა, როცა ფული, ტყუილი, სოციალური დემაგოგია და აგრესია პირველობს, როცა უარყოფილია მოაზროვნე ადამიანები და სალი აზრი, როცა იგნორირებულია სწორედ ის ხალხი, ვინც ჰაერივით სჭირდება პარლამენტს და ვისაც ხელეწიფება ქვეყნის ამ ჩიხიდან გამოყვანა. როცა წინა და დღევანდელი მთავრობების მიერ დანიშნული ბიზნესმენები, ვიმეორებ, დანიშნული ბიზნესმენები შეურაცხყოფას აყენებენ ხალხს, ქვეყანას და ხალხის გაღარიბებით უზომოდ გამდიდრებულნი, ცდილობენ, სრული დიქტატი დაამყარონ ქვეყანაზე.

მაგრამ ეს არ ნიშნავს ბრძოლის შეწყვეტას. ჩვენ შევუერთდით მეცნიერთა მოძრაობას, ვინაიდან მიგვაჩნია, რომ მათთან არის პატიოსნებაც, პროფესიონალიზმიც, ქვეყნის ერთგულებაც, ქვეყნის მომავალზე ფიქრიც. ჩვენთვის ყველაფერთან ერთად მიმზიდველია მეცნიერთა ის პოზიცია, რომ ისინი ყოველგვარი დაპირისპირების წინააღმდეგნი არიან და საქმიანობის მთავარ მიმართულებად თანამშრომლობის ჰარმონიზაციას მიიჩნევენ.

ჩვენ, „თეთრებს“ ეჭვი არ გვეპარება, რომ ეს არჩევნები უდიდეს განწბილებას გამოიწვევს ხალხში, სრულად გააკოტრებს პოლიტიკურ არენაზე მყოფ პოლიტიკურ ძალებსა და პოლიტიკოსებს და სწორედ ასეთ დროს მეცნიერთა, სახელმწიფო მოღვაწეთა დიდი ერთობა უნდა გახდეს ქვეყნის მომავლის ერთადერთი იმედი .

პირადად მე, იმ ადამიანთა რიცხვს ვეკუთვნი, ვისაც არასდროს შეუცვლია აზრი, მიაჩნდა და მიაჩნია, რომ წარმოუდგენელია ქვეყნის განვითარება, მეცნიერების, მეცნიერებისადმი დიდი მხარდაჭერის გარეშე.

ვოცნებობ ქვეყნის ისეთ პირველ პირზე, რომელსაც ერთი კაბინეტი მეცნიერებათა აკადემიაშიც ექნება. აშშ-ში მოსამართლეს ერთი დოლარით მეტი ხელფასი აქვს და ეს არის ხაზგასმა, რომ მათთვის უმთავრესია სამართლებრივი ქვეყანა. ჩვენ ინტელექტისა და რწმენის ქვეყანა ვართ. ამ ორის აღიარება და პრაქტიკული მოქმედება მისი განხორციელებისათვის ნიშნავს ნიჭის ძალაუფლების აღიარებას.

მეამაყება, რომ ყოველ თანამდებობაზე დანიშვნის წინადადებას მხოლოდ მას შემდგომ ვეთანხმებოდი, როცა მეცნიერებათა აკადემიის მხარდაჭერას მივიღებდი. დღესაც ვიხსენებ უაღრესად ადამიანურ და მომავლის პროექტებით დატვირთულ საუბარს, რომელიც 1993 წლის დასაწყისში, მქონდა მეცნიერებათა აკადემიაში მაშინდელი პრეზიდენტის, აკადემიკოს ალეკო თავხელიძის, ვიცე-პრეზიდენტების, აკადემიკოსების ანდრია აფაქიძის, გივი სანაძის, ივერი ფრანგიშვილის, როინ მეტრეველის და აკადემიის განყოფილებათა ხელმძღვანელი აკადემიკოსების მონაწილეობით.

ქუთაისის მერობის წინ ამ შეხვედრას ჩემთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

რატომ ვიხსენებ ამას?

იმ უმძიმეს პერიოდში, ომისა და განუკითხაობის ჟამს, რაც ქუთაისმა და ქუთისელებმა შევძელით, ეს მხოლოდ იმის წყალობით, რომ მეცნიერთა შემუშავებული პროგრამებით ვმოქმედებდით.ეკონომიკური და საფინანსო მიმართულების ორი უძლიერესი ინსტიტუტის წევრები, მათი უაღრესად საინტერესო ხელმძღვანელები, ბატონები ლადო პაპავა და იაშა მესხია, პრაქტიკულად, ქუთაისში იმყოფებოდნენ.

ჩვენ, ყველა მიმართულებით საუკეთესო შედეგები გვქონდა. მასწავლებლის ხელფასი ერთი დოლარის შესაბამისი კუპონით, შემდგომში ლარით მეტი იყო, ვინემ ქალაქის მერის და მაშინ, როცა საქართველოს პრეზიდენტის ხელფასი 8-15 დოლარის შესაბამისი ეროვნული ვალუტა იყო, ქუთაისში მასწავლებელთა საშუალო ხელფასი 100 დოლარის ფარგლებში იყო. თბილისიდან უამრავი პროფესორი ლექციებს ქუთაისში კითხულობდა, რადგან მათ სამივლინებო თანხასაც ვაძლევდით და ხელფასი 10-15-ჯერ მეტი იყო, ვიდრე თბილისში. დიმიტრი უზნაძის სარეფორმო პროგრამის შესაბამისად,

## ქვეყანა ჯანსაღი საბანკო სისტემის და არა რამდენიმე ბანკირის დიქტატის გარემოში უნდა ცხოვრობდეს

საშუალო სკოლაში სამსაფეხურიანი სწავლების დანერგვამ საშუალება მოგვცა, ნდობით ვყოფილიყავით სკოლის პედაგოგების მიმართ და გაგვეუქმებინა მისაღები გამოცდები ქუთაისის უმაღლეს სასწავლებლებში, პირველ კურსზე მიგველო ათასი სტუდენტი სასკოლო ატესტატების კონკურსის საფუძველზე, სრულად დაგვეფინანსებინა მათი სწავლება (500 დოლარი ერთ სტუდენტზე, როცა მთელს საქართველოში 1994-95 წლებში, 150-200 დოლარი იყო)... კომპიუტერულ პროგრამირებაში საერთაშორისო ტურების მონაწილეთა 90 პროცენტი ქუთაისის სტუდენტებითა და მოსწავლეებით კომპლექტდებოდა – სტიპენდიას ვაძლევდით არა მარტო წარჩინებულ სტუდენტებს, არამედ გიმნაზიის მოსწავლეებსაც. დღესაც მახსოვს, მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტ ალეკო თავხელიძის გაოცება, რა ცოდნას ამჟღავნებდა მოსწავლე ჯიმშელეიშვილი, მისთვის ძნელად დასაჯერებელი გახდა, რომ ამ ბავშვის სტიპენდია 56 დოლარის შესაბამისი ეროვნული ვალუტა იყო, როცა თვითონ ბატონი ალეკო, როგორც მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, 6 თუ 10 დოლარის ეკვივალენტ თანხას იღებდა. 1-6 კლასის ჩათვლით ბავშვებს განსაზღვრული კვება ჰქონდათ. ქუთაისის საბავშვო ბაღებში 8 ათასზე მეტი აღსაზრდელი იყო სამჯერად კვებაზე მერიის დაფინანსებით, მაშინ როცა მთელი საქართველოს მასშტაბით, ქუთაისის გარდა, ასეთ პირობებში სულ 2 ათასი ბავშვი იყო. დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ არც ერთი თეატრი, ხელოვნებისა და სპორტის დარგი არ გაუქმებულა 1993-96 წლებში, ვიდრე მე ქალაქის მერი ვიყავი, მაშინ როცა დღეს მათი რაოდენობა განახევრებულია.

**პირდაპირ და მიუკიბ-მოუკიბავად ვამბობ, იმ ფულით, რომელიც დღეს საქართველოს ბიუჯეტშია, მინიმუმ ხუთჯერ მეტი საქმის გაკეთება შეიძლება, ვინემ კეთდება. საამისოდ კი საჭიროა ხელისუფალთა ნება, მეცნიერებაზე და მეცნიერებზე დაყრდნობა.**

დაუჯერებელია, მაგრამ ქვეყნისთვის ურთულეს პერიოდში, ქალაქი სპორტსაც პატრონობდა. ქუთაისის „ტორპედო“ ზედიზედ სამჯერ გახდა საქართველოს ჩემპიონი და ამავე პერიოდში, არც საქართველოს თასი დაუთმო არავის.

ეს ის წლებია, როცა ქუთაისი გახდა აფხაზეთიდან დევნილთა ცენტრი. ქუთაისმა ლუკმა გაუყო ჩვენს ძმებს აფხაზეთიდან. 20 ათასზე მეტ დევნილს საცხოვრებელი პირობები შევუქმენით. გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, აფხაზეთის მთავრობის მაშინდელი ხელმძღვანელებიც ზურაბ ერქვანია და ლონდერ ცაავა დაადასტურებენ, რომ ჩვენ დავიწყეთ მოძრაობა „გადავარჩინოთ აფხაზეთი საქართველოში დროებით ტერიტორიების გარეშე“, რაც იმას ნიშნავდა, რომ შეგვენარჩუნებინა ყველა იურიდიული პირი. 40-მდე საწარმო, განათლებისა და სახელოვნებო მიმართულების ორგანიზაცია მოქმედებდა ისე როგორც ადრე აფხაზეთში მოქმედებდნენ. ვწუხვარ, რომ დღეს გაუქმებულია სოხუმის სუბტროპიკული მეურნეობის უნივერსიტეტი, რომელიც ჩვენ მივიღეთ, როგორც ინსტიტუტი, ყველა პირობა შევქმენით, რომ უნივერსიტეტის მოთხოვნები დაეკმაყოფილებინა.უნივერსიტეტის სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები იგივე პირობებით სარგებლობდნენ, რაც ქუთაისის ორ სახელმწიფო უნივერსიტეტში გვქონდა. ჟიული შარტავას სახელობის სკოლა შევქმენით იგივე პირობებით, რაც ქუთაისის სკოლებში გვქონდა.

მხოლოდ მცირედზე ვისაუბრე. მთავარი ახლა მინდა ვთქვა: ეს ყველაფერი კეთდებოდა მაშინ, როცა ქუთაისი განსხვავებით საქართველოს სხვა ქალაქებისაგან, ერთი ლარის დაფინანსებას არ იღებდა ცენტრალური ბიუჯეტიდან. მეტ-ნაკლებად, ყველა წარმოება მუშაობდა (საავტომობილო ქარხანაში 3 ათასამდე კაცი, დღეს რომ ჩინურ ქალაქად არის გადაქცეული და ხე-ტყის გადამუშავება მიმდინარეობს).

მაშინ გავიყვანეთ დღემდე საქართველოში ყველაზე დიდი პროსპექტი – დავით აღმაშენებლის. აღვადგინეთ სრულად დანგრეული „ჯაჭვის ხიდი“ და ნახევრად დანგრეული „თეთრი ხიდი“. ქუთაისის 3 500 წელი 1995 წელს საერთაშორისო მასშტაბით აღვნიშნეთ. ამავე წლის 21 სექტემბერს, ღვთისმშობლობას, გავხსენით დავით აღმაშენებლის ძეგლი და 300 ქუთაისელის მონაწილეობით, ქუთაისის დღეები აღვნიშნეთ პარიზში, იუნესკოს ეგიდით.

გვიჭირდა, მაგრამ მთელი ქალაქი პოზიტიური განწყობით ცხოვრობდა, მთელი ქალაქი ერთიან საქართველოზე ფიქრობდა. სწორედ ამ განწყობამ შეძლო, რომ ორჯერ ტანკები არ გამოვატარეთ თბილისისკენ და ქვეყნისთვის ყველაზე მძიმე მომენტში მხოლოდ ქუთაისმა შეძლო დიდი ჟიული შარტავას თხოვნის შესრულება და სოხუმში დასახმარებლად ჩასვლა. სიცოცხლის ფასად კეთდებოდა ყველაფერი ეს და სამწუხაროა, რომ ზოგჯერ გახსენებაც უჭირთ. კარგია, რომ ხშირად ვსაუბრობთ იმ უბედურებებზე, რაც ნაცების დროს ციხეებში ხდებოდა. როგორ ტანჯავდნენ ადამიანებს. ამაზე მეტი უნდა ვილაპარაკოთ. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ ის ხალხი, რომელთაც სიცოცხლის ფასად ტანკები არ გამოატარეს დედაქალაქისკენ... ის სამასი კაცი, ვინც ქუთაისის აეროპორტში იმ თვითმფრინავში შესვლა გაბედა, რომლის სოხუმში ჩაფრენის გარანტია მხოლოდ ერთი პროცენტი იყო.

კიდევ უამრავი რამის ჩამოთვლა შემიძლია. ვფიქრობ, საკმარისია იმის დასტურად, თუ რა შეიძლება შევძლოთ მეცნიერებაზე დაყრდნობით, მეცნიერისადმი, კულტურის მოღვაწისადმი კეთილი განწყობის გარემოში. სწორედ მეცნიერება იყო იმის საფუძველი, რომ მაშინ არ გაგვეჩერებინა საწარმოები, ხალხი მეტ-ნაკლებად დასაქმებული ყოფილიყო. მათ რჩევით ჩემს მიერ მიღებულ ორ გადაწყვეტილებას გავიხსენებ.

პირველი – ყოველ შაბათს, ქალაქის მცხოვრებლები მიგვყავდა

ქუთაისის მიმდებარე 70-მდე სოფელში, სადაც მათ მამაპაპისეული, თუ ჩვენი მხარდაჭერით მიღებული ეზო-გარემო ჰქონდათ და ყოველ კვირას უკან მოგვყავდა. უდიდესი ეფექტი მოგვცა.

მეცნიერებისადმი დამოკიდებულება ჩემთვის ბუნებრივი და შინაგანია.

როცა ქუთაისის მერი გავხდი, აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტის რექტორი, დიდი მეცნიერი, აკადემიკოსი მაგალი თოდუა ოჯახთან ერთად სასტუმროს ერთოთახიან ნომერში ცხოვრობდა. ჩემს მეგობარს, რეჟისორ ლევან სვანაძეს, რომელიც იმხანად რუსთავში გადავიდა სამუშაოდ, ვთხოვე, რომ მისი ყოფილი ბინა, რომელიც მას გადაეცა როგორც ლადო მესხიშვილის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს და უკვე პრაქტიკულად მისი იყო, დაებრუნებინა პირადად ჩემთვის. მან იცოდა, რომ ქუთაისში მამაპაპისეული სახლის გარდა არაფერი გამაჩნდა... ბატონ ლევანს დღესაც ულრმეს მადლობას ვუხდი ამ ღირსეული ნაბიჯისთვის, რითაც ქუთაისს შეუნარჩუნა დიდი მეცნიერი მაგალი თოდუა.

ქუთაისის ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორად უკვე არჩეული დიდი მეცნიერი, აკადემიკოსი არჩილ კოსტავა ვერ ახერხებდა ჩამოსვლას, რადგან მას არ ჰქონდა საცხოვრებელი ბინა. ბატონ არჩილს დავუთმე ჩემზე გაფორმებული ბინა ნინოშვილის ქუჩის დასაწყისში, სადაც მანამდე მხოლოდ ქალაქის პირველი პირები ცხოვრობდნენ და ამით ქალაქს დიდი მეცნიერი შევუნარჩუნე.

იმ უმძიმეს წლებში ყველაფერი გავაკეთეთ, რათა ქალაქიდან არ წასულიყვნენ ცნობილი მწერლები: რეზო ჭეიშვილი, ოტია იოსელიანი. ქალაქში დავაბრუნეთ ძირძველი ქუთაისელი, პოეტი ოთარ მამფორია

ასეთი ერთიანობის განწყობა გვქონდა იმ რთულ პერიოდში, რამაც გაგვაძლებინა.

მეცნიერებთან ერთად, შეუძლებელსაც კი შევძლებთ.

პირდაპირ და მიუკიბავ-მოუკიბავად ვამბობ, იმ ფულით, რომელიც დღეს საქართველოს ბიუჯეტშია, მინიმუმ ხუთჯერ მეტი საქმის გაკეთება შეიძლება, ვინემ კეთდება. საამისოდ კი საჭიროა ხელისუფალთა ნება, მეცნიერებაზე და მეცნიერებზე დაყრდნობა.

ამიტომ ვარ განწყობილი უაღრესად იმედიანად მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფის საქმიანობისადმი. ისტორიული გამოცდილებითაც ვიცი და მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფში მონაწილეობით ვრწმუნდები, რომ მეცნიერი ფიქრობს მომავალზე, პოლიტიკოსი – სკამზე.

ძლიერი ფრაზა აქვთ მეცნიერებს, რომლითაც იხსნება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ყოველი გვერდი და იგივე ფრაზით ძლიერი გადაცემაა ტელევიზია „ქართული TV“-ზე. ეს ფრაზაა:

„ქვეყნის ბატონ-პატრონი ხალხია და არა ხელისუფლება!“

როგორც ჩანს, დღეს ეს ასე არ არის. გაცილებით უარესად იყო გუშინ. მინდა ვირწმუნო, რომ გაცილებით უკეთესად იქნება ხვალ.

ქვეყანას სჭირდება ხელისუფლება, რომელმაც იცის მეცნიერების ფასი, რომელიც პატივს მიაგებს მეცნიერს და ქვეყანას სჭირდება ისეთი მეცნიერება და ისეთი მეცნიერები, რომელთაც აქვთ პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ ქვეყანაში იყოს ასეთი ხელისუფლება.

ასევე მწამს და მჯერა, რომ დღეს თუ არა ხვალ, მეცნიერები ნამდვილად შეძლებენ იმის მიღწევას, რომ ქვეყანას ჰყავდეს ეროვნული თანხმობის პარლამენტი.



სწორედ ამიტომ არის საჭირო მათდამი საზოგადოების დიდი მხარდაჭერა, რაც საქართველოში სისტემური ცვლილებების საფუძველი გახდება. ამ უკანასკნელის გარეშე კი, ქვეყნის მომავალზე საუბარი ზედმეტია.

**თემურ შაშიაშვილი,**

**პარტია „თეთრების“ თავმჯდომარე.**

# საქართველო 2016: დღემდე ათასობით დაკარგული



**30 აგვისტოს მთელს მსოფლიოში უგზო-უკვლოდ დაკარგულთა დღე აღინიშნა. „უფლება, იცოდე“ ახლობლების ბედის შესახებ ერთ-ერთი ფუძემდებლური პრინციპია როგორც საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის, ისე ადამიანის უფლებების და უპირობოდ უნდა იყოს დაცული, - აღნიშნავენ გაეროში.**

2000 ადამიანი — ეს მიახლოებითი ციფრია, თუმცა იგი როგორც საერთაშორისო ორგანიზაციების, ისე ადგილობრივი, ქართული სტრუქტურების თითქმის ყველა ანგარიშშია წარმოდგენილი. ამდენი ადამიანი ითვლება დაკარგულად ტერიტორიული კონფლიქტების შედეგად გასულ საუკუნის 90-იანი წლებიდან დაწყებული დღემდე.

ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილის გრიგოლ გიორგაძის განცხადებით, ამჟამად უწყება წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტთან ერთად ძალზე მნიშვნელოვან პროექტზე მუშაობს — ნეშტების იდენტიფიკაციასა და გადასვენებაზე:

**„ადამიანებისთვს, რომელთათვისაც ახლობლების ბედი უცნობი იყო, ძალზე მნიშვნელოვანია, შეძლონ მათ საფლავებზე გასვლა და დატირება“ და წითელი ჯვრისა და აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობის დახმარება ამ საქმეში ძალზე მნიშვნელოვანია“.**

წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი საქართველოში უგზო-უკვლოდ დაკარგულთა საკითხებზე 2004 წლიდან მუშაობს. 2010 წლისთვის მოხერხდა ორი საკოორდინაციო მექანიზმის შექმნა შეიარაღებული კონფლიქტებისა და შემდგომი მოვლენების დროს უგზო-უკვლოდ დაკარგულთა ბედის დასადგენად. კომიტეტის მონაცემებით, სადღეისოდ ქართული, აფხაზური, ოსური და რუსული მხარეების წარმომადგენლები მუშაობენ იმაზე, რომ ადამიანებს მათი დაკარგული ახლობლების შესახებ ინფორმაცია მიაწოდონ.

საკითხის მთელი სირთულის მიუხედავად, ამ დრომდე ჩატარებულმა სამუშაომ გარკვეული შედეგები გამოიღო: 2013 წლიდან 22 სამარხიდან, რომელიც მთელ რეგიონშია მიმოფანტული, 162 ნეშტის ექსჰუმაცია განხორციელდა. მათგან 81 ამოცნობილია და ნათესავებს გადაეცა.

სახალხო დამცველის აპარატმა ამ დღეებში საკუთარი ანგარიში გამოაქვეყნა. ომბუდსმენ უჩა ნანუაშვილის თქმით, ამ დროისთვის უგზო-უკვლოდ დაკარგულად 1500-მდე ეთნიკური ქართველი, 200-მდე აფხაზი და 100-მდე ოსი ითვლება, 2008 წლის ომის შემდეგ — 6 ოსი და 35 ქართველი.

საერთაშორისო სამართლის თანახმად, მოქმედებები, რომელთაც ადამიანთა გაქრობა მოაქვს, აკრძალულია, ნათესავები დაუყოვნებლივ უნდა იყვნენ ინფორმირებულები დაკარგული, დაღუპული ან დაჭრილი ახლობლების ბედის შესახებ. თუმცა პრობლემა ის არის, როგორ უნდა იქნას უზრუნველყოფილი მსგავსი ნორმების მიღება და შესრულება.

2013 წელს ომბუდსმენის აპარატმა მთავრობას მისცა რეკომენდაცია, მოამზადოს შესაბამისი დოკუმენტები საკანონმდებლო დონეზე პირთა ძალისმიერი დაკარგვისგან დაცვის საერთაშორისო კონვენციის მისაღებად. 2014 და 2015 წლებში პარლამენტმა დოკუმენტს მხარი დაუჭირა, თუმცა იგი ამ დრომდე არ არის რატიფიცირებული.

**სულხან ორდენიძე**

# „სად იყავით 2012 წლამდე?!“

**ბოლო დროს მოდურ ტენდენციად დამკვიდრდა შეგონებითი ხასიათის შეკითხვები — „სად იყავით 2012 წლამდე?!“ „რას აკეთებდით ცხრა წლის განმავლობაში?!“**

**არის თუ არა ეს შეკითხვები რელევანტური და ვის აქვს ამ კითხვის დასმის მორალური უფლება? ხომ არ არის ეს გამონათქვამი დაახლოებით იმ ფორმულირების მსგავსი, როცა პირველი ქვა იმან უნდა ესროლოს, ვინც უცოდველია?!**

**ექსპერტები თანხმდებიან, რომ ვინ სად იყო 2012 წელს, ეს უფრო ზნეობისა და სინდისის საკითხია, თუმცა ეს კითხვა არც ერთმა ხელისუფლებამ ინდულგენციის მიზნით, საკუთარი უსუსურობის გადასაფარად არ უნდა გამოიყენოს.**

პოლიტოლოგი **სოსო ცინცაძე** For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ შეკითხვა „სად იყავით 2012 წლამდე?!“ პროვოკაციული და არამეცნიერულია. ეს არ არის კითხვა, რომელიც პოლიტიკოსს შეიძლება დაუსვა, რადგან თავის დროზე რეიგანმაც შეიცვალა პარტია, ის იყო „დემოკრატიული პარტიის“ წევრი და გახდა რესპუბლიკელი, თუმცა არჩევნებზე არავის წამოუძახებია, სად იყავი 15 წლის წინათო? ჩერჩილმაც შეიცვალა პარტია, ჯერ იყო „კონსერვატორი“, მერე გახდა „ლიბერალი“, მერე ისევ დაუბრუნდა „კონსერვატორებს“, მაგრამ ომის დროს, როცა ჩერჩილს პრემიერად ირჩევდნენ, არავის უკითხავს, სად იყავიო?

**„იყო დრო, როცა ჩერჩილი, ერთი დედას არ აგინდებდა კომუნისტებს (რადგან მაინც ინგლისელი ლორდი იყო), თუმცა ლანძღვას არ აკლებდა, მაგრამ როდესაც მან თქვა, რომ რუსეთის გარდა ჩვენ ხსნა არ გვაქვსო, არავის უთქვამს მისთვის, გუშინ შენ არ იყავი, რუსეთზე საშინელებას ლაპარაკობდიო? ამიტომ ეს კითხვა პრიმიტიულია. ეს ისეთივე პრიმიტივიზმია, როცა ბრალდებას წაუყენებთ ვიღაცას და ის გეუბნება, შენ რომ ათი წლის წინ რაღაც გააკეთე.**

**ყველამ პასუხი აგოს თავის თავზე. წინა ხელისუფლების დანაშაული და შეცდომები ინდულგენცია არ შეიძლება იყოს არსებული ხელისუფლებისთვის. ახლანდელი ხელისუფლება ამბობს, ჩვენი დანაშაული ძალიან პატარაა თქვენს მიერ ჩადენილ დანაშაულთან შედარებითო, მაგრამ ეს სოფლის დედაკაცების რიტორიკაა. თუ დამნაშავეა, გაასამართლე, დაიჭირე. შესაძლოა, ახლა „ჰეროკრატია“ ვიღაცებისთვის შეხსენება იყოს, რა ხდებოდა 2012 წლამდე, მაგრამ საქართველოს ეს ღირსებას არ მოუტანს.**

**გარდა ამისა, ნუ დავივიწყებთ, რომ გოგა ხაინდრავა მთელი 2-3 წელი სააკაშვილის მინისტრი იყო. როცა ადამიანი კარგავს თანამდებობას და მერე მოდის აზრზე, თუ რა ხდებოდა, ეს კარგი არ არის. თქვენ იცით, რომ 1948 წლის დასასრულიდან გერმანიაში არაკანონმდებლურად, მაგრამ ჯენტლმენურად შეთანხმდნენ, საერთოდ დაევიწყებინათ ჰიტლერი და ფაშიზმი. მიიღეს კანონები, კანონმდებლობით აიკრძალა ფაშიზმი და გერმა-**



**ნიაში ჰიტლერზე ერთი ფილმიც არ გადაუღიათ. მართალია, თავის დროზე ჰიტლერის შესახებ „დიქტატორი“ გადაიღო ჩარლი ჩაპლინმა, მერე გადაიღეს ამერიკელებმა, ჰოლივუდმა, საბჭოთა კავშირმაც უამრავი ფილმი მიუძღვნა ამ თემას, მაგრამ ომის შემდეგ გერმანიაში ასეთი რამ არ მომხდარა“, —** აცხადებს სოსო ცინცაძე.

ამასთან, განმარტავს, რომ დღესაც გერმანიაში ცუდ ტონად ითვლება ჰიტლერის ლანძღვა-გინება, რადგან გერმანელებმა დაიწყეს ფაშიზმის პერიოდის მეცნიერულად შესწავლა და დაასკვნეს, რომ საკმარისი იყო ჰიტლერი 1937 წლის დასასრულს მომკვდარიყო, რომ დღეს მისი ასი ძეგლი მაინც იდგებოდა გერმანიაში. ფაქტობრივად, ჰიტლერმა ჯერ ააყვავა გერმანია, მერე კი თვითონვე გადაჩეხა უფსკრულში.

ყოველ შემთხვევაში, გერმანელი მეცნიერები მიიჩნევენ, რომ 1934 წელს ჰიტლერმა საშინელი გერმანია ჩაიბარა — ტერორიზმი, კომუნისტური საფრთხე, ბავარიის სოციალისტური რესპუბლიკა ცალკე იყო, კარლ ლიბკნეხტი, როზა ლუქსემბურგი, ლენინის აგენტები... ამას ერთვოდა საშინელი უმუშევრობა და ინფლაცია. მან კი ოთხ წელიწადში მოსპო უმუშევრობა და ბერლინი მსოფლოში ყველაზე სუფთა ქალაქად აღიარეს, გერმანია კი ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით მსოფლიოში საუკეთესოდ ითვლებოდა.

**„თუმცა ჰიტლერი დაციკლული იყო ებრაელებზე და თვლიდა, რომ პირველ მსოფლიო ომში სწორედ ებრაელებმა მოპარეს გამარჯვება. სხვათა შორის, ჰიტლერი ახალგაზრდობაში ძალზე მორცხვი, თავმდაბალი, გაუბედავი, უპატიოსნესი იყო. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ახლა მურუსიძე ამბობს, მე მსხვერპლი ვიყავიო, ჰიტლერის დროს კი სასამართლო გაცილებით თავისუფალი იყო, ვიდრე საქართველოშია. ჰიტლერს არც ერთი მოსამართლე არ დაუჭერია. გარდა ამისა, უკვე ფიურერი რომ გახდა, ჰიტლერმა მიწის ნაკვეთი იყიდა, გამყიდველმა ათას მარკაში მოატყუა, მთელი სიცოცხლე განიცდიდა ამას, როგორ მომატყუესო, მაგრამ აზრად არ მოსვლია, გამყიდველისთვის სამაგიერო გადაეხადა. აბა, რომელიმე ჩვენი მინისტრი მოატყუონ ათ ლარში, რას მოიმოქმედებს? აღარაფერს ვამბობ მიშა სააკაშვილზე“.**

პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე, რესპუბლიკური პარტიის წევრი **ლევან ბერძენიშვილი** For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ თავისთავად, კითხვის ასეთნაირად დასმა — „სად იყავით 2012 წლამდე“ სასაცილოა. თანაც, ეს კითხვა დასვა იმ ძალამ, რომელიც თავად სად იყო 2012 წლამდე, გასარკვევიც არ არის.

ლევან ბერძენიშვილის თქმით, ეს ძალა იყო ყველგან, სადაც არ უნდა ყოფილიყო. ბევრი მათგანი იყო შევარდნაძესთან, როცა შევარდნაძე გახლდათ ხელისუფლებაში; ზვიად გამსახურდიასთან, როცა ზვიად გამსახურდია იყო სათავეში; შემდეგ ისევ შევარდნაძესთან, შემდეგ — სააკაშვილთან.

**„ეს კითხვა შეიძლება დაუსვან კობა ნარჩემაშვილს, რომელიც იმ დროს იყო პოლიციის უფროსი, როცა ხალხს ფანჯრებიდან ყრიდნენ. ეს კითხვა შეუძლიათ დაუსვან თავის ყველა წარმომადგენელს, რომელთაც 2012 წლამდე, როგორც წესი, ძალიან იშვიათად, რამეზე ხმა ამოეღოთ. ელისაშვილი კი მაინც ეთერში იყო და არ იმალებოდა. ვინც ეს კითხვა დასვა, ანუ ირაკლი კობახიძე, იმ დროს ლექციებს კითხულობდა უნივერსიტეტში, მე კი ლექციებსაც ვერ ვკითხულობდი, პირდაპირ გამაგდეს ყველა უმაღლესი სასწავლებლიდან. ერთი მიხეილ სააკაშვილი იყო „მებრძოლი“, როცა საბჭოთა კავშირის დროს დასავლურ მუსიკას უსმენდა და ამით გამოხატავდა თავის დაუმორჩილებლობას და მეორე ირაკლი კობახიძეა, რომელიც თავის პროტესტს თურმე ლექციებით გამოხატავდა.**

**2012 წელს რა მოხდა ასეთი? საქართველოს ისტორია ოთხი წლისაა? იმხელა პოლიტიკური „გიგანტი“ მიხეილ სააკაშვილი რომ სვამდა ამ შეკითხვას, იმას დავცინოდით და მისგან უნდა მოვისმინოთ ასეთი კითხვები? ვინ მისცა მას ამ კითხვის დასმის უფლება. რა გაუკეთებია ასეთი? მამამისი დღედაღამ „ქართულ ოცნებას“ აგინებდა, მერე გადადგა ამ გინებიდან და შვილი შემოგვთავაზა მაქებრად. გვახსოვს, ვისთანაც იყვნენ ისინი, ეტყობა, ბურჯანაძესთან ყოფნა კარგი ყოფილა. ამ კითხვის დასმა მიუთითებს მწირ გონებრივ შესაძლებლობებზე. ეტყობა, ლექციების კითხვას ერთი გონება სჭირდება და პოლიტიკას — მეორე. ბევრი მათგანი სინდისთანაც და მორალთანაც კომპრომისზე იყო წასული“, —** აცხადებს ლევან ბერძენიშვილი.

**მანანა ნოზაძე**

# დიდი ბრიტანეთის ახალი ელჩი უკვე თბილისშია



დიდი ბრიტანეთის ახალი ელჩი ჯასტინ მაკენზი სმიტი თბილისში ჩამოვიდა.

**„ჩემთვის დიდი პატივია საქართველოში მისი უდიდებულესობის ელჩად დანიშვნა. მოხარული ვარ, რომ აქ ვიმყოფები. გამიმართლა, რომ საქართველოში რამდენჯერმე ვარ ნამყოფი და ახლა მაქვს შესაძლებლობა აქ ვიცხოვრო და ვიმუშაო. საქართველოსა და დიდ ბრიტანეთს შორის მყარი მეგობრული ურთიერთობებია. სამომავლოდ, ბევრი საინტერესო მიმართულებით არის შესაძლებებელი ამ ურთიერთობების კიდევ უფრო განმტკიცება“,** — განაცხადა ელჩმა

ბატონი მაკენზი სმიტი ელჩის მოვალეობის შესრულებას მას შემდეგ შეუდგება რაც რწმუნებათა სიგელებს გადასცემს საქართველოს პრეზიდენტსა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს.

საქართველოში ელჩად დანიშვნამდე, მაკენზი სმიტი ბრიტანეთის დიპლომატიურ სამსახურში სხვადასხვა საქმიანობით იყო დაკავებული. მისი უკანასკნელი მისია გახლდათ მეხიკოში, დიდი ბრიტანეთის საელჩოში, სადაც ის ელჩის მოადგილე და ვაჭრობისა და ინვესტიციების მიმართულებით დირექტორი იყო. მანამდე კი, იგი იმყოფებოდა გაეროს დიდი ბრიტანეთის მისიაში, ნიუ იორკში. დიდი ბრიტანეთის საგარეო და თანამეგობრობის სამინისტროში მას ნამუშევარი აქვს აღმოსავლეთ ევროპის, ცენტრალური აზიის, ევროკავშირის, ეუთოს, ადამიანის უფლებათა დაცვის და მედიის საკითხებზე.

# ქართული მთის აღორძინების გარეშე საქართველო ვერ გადარჩება!



**1 სექტემბრიდან ამოქმედდა „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული შეღავათების კიდევ ერთი ნაწილი, რომელიც მაღალმთიანი დასახლების სტატუსის მქონე სოფლებში მცხოვრები ასაკით პენსიონერების პენსიის 20 %-ით გაზრდას ითვალისწინებს. ასევე, 20 %-ით გაიზრდება მთაში მცხოვრები სოციალური პაკეტის მიმღები პირების ფულადი გასაცემელი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების, მარჩენალდაკარგულებისა და პოლიტრეპრესირებულებისთვის.**

ასაკით პენსიონერი ეთერ ბიჭაშვილი ონის რაიონის სოფელ გლოლაში ცხოვრობს. სოფელი ზღვის დონიდან 1300 მეტრზე მდებარეობს და, კანონის თანახმად, მაღალმთიანი დასახლების სტატუსს ატარებს, შესაბამისად გაზრდილ პენსიას — 180 ლარის ნაცვლად 216 ლარს — სხვა გლოლელებთან ერთად ეთერ ბიჭაშვილიც მიიღებს.

**„რა არის ეს? არაფერია!“** — უთხრა რადიო „თავისუფლებას“ ეთერ ბიჭაშვილმა, რომლის თქმით, პენსიის 36 ლარით გაზრდა ოდნავადაც კი ვერ შეამსუბუქებს მაღალ მთაში მცხოვრები პენსიონერების ყოფას, რადგანაც სოფელს რეალურად შემოსავლის სხვა წყარო არა აქვს:

**„სოფელში ძალიან ბევრია დაუსაქმებელი. არაფერი არ არის. ახალგაზრდობა მეტწილად უმუშევარია. სოფელი ტერიტორიით დიდია, მაგრამ მოსახლეობისგან დაიცალა. მიდიან. დარჩენილია მხოლოდ საშუალო ასაკის ხალხი და მოხუცები“.**

სახელმწიფო გარკვეულ ზომებს იღებს იმისათვის, რომ მთაში ცხოვრება გახდეს ეკონომიკურად ხელსაყრელი და სოციალურად პრესტიჟული, მაგრამ ამას უნდა მოჰყვეს ეკონომიკის გაჯანსაღება და ამ რეგიონებში მცხოვრებმა მოქალაქეებმაც უნდა გადადგან შემხვედრი ნაბიჯები...

ეთერ ბიჭაშვილის გარდა, გაზრდილ პენსიასა და სოციალურ პაკეტს მიიღებს ასევე მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრები 52 ათასი მოქალაქე. როგორც შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე ზაზა სოფრომაძე ამბობს, საქართველოს კანონით გათვალისწინებული მხოლოდ ამ დანამატებისათვის ქვეყნის ცენტრალური ბიუჯეტიდან ყოველთვე დამატებით 1 მლნ 800 ათასი ლარი გამოიყოფა. ზაზა სოფრომაძის თქმით, ყოველთვიური დანამატი დაენიშნება მაღალმთიან დასახლებაში სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ და მის მართვაში არსებულ სამედიცინო დაწესებულებებში დასაქმებულ პერსონალს:

**„ექიმებისთვის ეს თანხა 360, ხოლო ექთნებისთვის 180 ლარით განისაზღვრება. დანამატი გაიცემა რეგიონალური ჯანდაცვის ცენტრის კლინიკების მედპერსონალისთვის — ჯამში, 350 ადამიანისთვის. ლენტეხში, ყაზბეგში, გუდაურში, წალკაში, თიანეთში, თეთრ წყაროში, ბაკურიანში, ცაგერში, ონსა და ამბროლაურში, ასევე, შპს ბედიანის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, მანგლისის საავადმყოფო-პოლიკლინიკასა და აბასთუმნის ტუბსაწინააღმდეგო საავადმყოფოში. დანამატს მიიღებს ასევე მაღალმთიან სოფელში მომუშავე 950-მდე სოფლის ექიმი და ექთანი, რომლებიც ჩართული არიან სახელმწიფო პროგრამაში — „პირველადი ჯანდაცვის მომსახურება სოფლად“. ექიმის დანამატი პენსიის ორმაგი ოდენობით, 360 ლარით, ხოლო ექთნის დანამატი 180 ლარით განისაზღვრება. ამჟამად სოფლის ექიმის მომსახურების ანაზღაურება 650 ლარს, ხოლო ექთნის 455 ლარს შეადგენს“.**

სოციალური შეღავათების ძალაში შესვლის შედეგად, ასევე, 20 %-ით გაიზრდება მთაში მუდმივად მცხოვრები სოციალური პაკეტის მიმღები პირების ფულადი გასაცემელი. მათ შორის არიან მკვეთრად, მნიშვნელოვნად და ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, მარჩენალდაკარგულები და პოლიტრეპრესირებულები. მკვეთრად გამოხატული შშმ პირები და შშმ ბავშვები 180 ლარის ნაცვლად 216 ლარს მიიღებენ. შესაბამისად, 20 %-ით გაიზრდება სხვა სოციალური პაკეტების დანამატიც და მნიშვნელოვნად გამოხატული პირების, მარჩენალდაკარგულებისა და პოლიტრეპრესირებულების თანხა 100 ლარის ნაცვლად 120 ლარი გახდება.

ზაზა სოფრომაძის თქმით, 1 სექტემბრიდან ამოქმედებული „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული შეღავათები მნიშვნელოვნად შეაკავებს მთიანი რეგიონის დაცლის ტენდენციას, რაც რამდენიმე ათეული წელია, მიმდინარეობს ღრმა სოციალურ-ეკონომიკური პროცესების ფონზე. კანონის ერთ-ერთი ავტორი გია ჟორჟოლიანი იმედოვნებს, რომ „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ კანონი შექმნის მთაში ისეთივე პირობებს, როგორიც მთლიანად საქართველოშია.

მისი თქმით, გარდა აღნიშნული შეღავათების ამოქმედებისა, რეგიონების გათანაბრების საქმეში მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშოს რეგიონების განვითარების ათმილიონიანმა ფონდმა, რომელიც სულ მალე დაიწყებს მიკროგრანტების გაცემას მაღალმთიანი დასახლებებისთვის. ეკონომისტი სოსო არჩვაძე მიიჩნევს, რომ სპეციალური კანონის მიღება და შეღავათების დაწესება მაღალმთიანი რეგიონების გაცოცხლებისა და განვითარების აუცილებელი, თუმცა არასაკმარისი, პირობაა:

**„ოკუპირებულ ტერიტორიებზე არანაკლები ფართობის ტერიტორიები დაკარგული გვაქვს იმის გამო, რომ არ ხდება მათი სამეურნეო დამუშავება და ჩვენს სოციოკულტურულ ქსოვილში ჩართვა, რის გამოც ისინი გამოუყენებელი რჩება. ამიტომ მთის კანონის მიღება და ამოქმედება, მართალია, ამ პროცესს შეუქცევადად ვერ ხდის, მაგრამ გარკვეულწილად ანელებს ნეგატიურ პროცესებს. სახელმწიფო გარკვეულ ზომებს იღებს იმისთვის, რომ მთაში ცხოვრება გახდეს ეკონომიკურად ხელსაყრელი და სოციალურად პრესტიჟული, მაგრამ ამას უნდა მოჰყვეს ეკონომიკის გაჯანსაღება და ამ რეგიონებში მცხოვრებმა მოქალაქეებმაც უნდა გადადგან შემხვედრი ნაბიჯები“.**

სოსო არჩვაძის თქმით, შემხვედრი ნაბიჯების გადადგმას და მოქალაქეების აქტიურობას ექნება გადამწყვეტი მნიშვნელობა. ონის რაიონის სოფელ გლოლაში მცხოვრები ასაკით პენსიონერი ეთერ ბიჭაშვილიც იმედოვნებს, რომ სახელმწიფო მხოლოდ ფულადი დანამატების გაცემით არ შემოიფარგლება და მთაში მცხოვრებ მოქალაქეებს საგადასახადო შეღავათებიც დაუწესდებათ.

**ჯიმშერ რეხვიაშვილი**

# რა ელის ლარს 8 ოქტომბრამდე და მას შემდეგ?

**რა ბედი ელის ეროვნულ ვალუტას არჩევნებამდე ანდა არჩევნების შემდეგ? დიდი საზაფხულო ჩავარდნის შემდეგ ლარი მძიმედ, მაგრამ მაინც გამყარებისკენ მიიწევს. რამდენად ბუნებრივია მისი ქცევა, ამის გაანალიზება ყველას უჭირს. შესაბამისად, არჩევნების შემდგომი სცენარი ყველას განსხვავებულად წარმოუდგენია.**

ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმეთა ასოციაციის ანალიტიკოსი პაატა ბაირახტარი ეროვნული ვალუტის, იმ ძირითად ფაქტორებს ასახელებს, რამაც ბოლო პერიოდში ლარის კურსზე იქონია ზეგავლენა.

**„ეროვნული ვალუტის ბოლოდროინდელი დასტაბილურება გამოწვეულია, იმ რიგი მაკროეკონომიკური პარამეტრების გაუმჯობესებით, რომელიც პირდაპირ მოქმედებს ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოდინებაზე. ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი, რომელმაც ხელი შეუწყო ლარის დასტაბილურებას, არის ფულადი გზავნილები უცხოეთიდან. წინა წელთან შედარებით ეს პარამეტრი საგრძნობლად არის გაუმჯობესებული. უფრო კონკრეტულად კი, 2016 წლის ივლისში ქვეყანაში შემოსული ფულადი გზავნილების მოცულობამ 100.7 მლნ დოლარი, ანუ 235.3 მლნ ლარი შეადგინა, რაც 10.4 %-ით მეტია 2015 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.**

**უცხოური ვალუტის შემოდინების კუთხით, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ტურიზმის სექტორმა, რომლიდანაც, არსებული მონაცემების გათვალისწინებით, შემოსავლები წლის ბოლოსთვის 2 მლრდ დოლარს გადააჭარბებს. უფრო კონკრეტულად კი, თუ საქართველომ პირველ კვარტალში 1 134 436 საერთაშორისო ვიზიტიორი მიიღო, 7 თვის მონაცემებით ეს ციფრი 3 400 335-მდე გაიზარდა.**

**მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ლარის კურსის სტაბილურობა ცუდია ან დროებითია და მას სებ-ი ხელოვნურად ინარჩუნებს, იმთავითვე მცდარია იმდენად, რამდენადაც ეროვნული ვალუტის კურსის მკვეთრი ცვლილებების თავიდან აცილება სებ-ის ერთ-ერთი მთავარი მოვალეობაა.**

**აბსურდული განცხადებები, რომ თურმე სტაბილური ვალუტის კურსი ცუდია, მომავალში კრახს და სებ-ის რეპუტაციის შელახვას გამოიწვევს, უბრალოდ, გაუგებარია. ქვეყნის ეკონომიკის სტაბილური განვითარებისთვის აუცილებელია ფინანსური სტაბილურობა, ხოლო ეს წარმოუდგენელია ეროვნული კურსის სტაბილურობის გარეშე“,** — აღნიშნავს ბაირახტარი.



ბოლო დროს პოპულარულია მოსაზრება, რომლის მიხედვითაც არჩევნებამდე ლარის კურსი უნდა გამყარდეს, ხოლო არჩევნების შემდეგ კვლავ გაუფასურების გზას დაადგეს. სპეციალისტთა ერთი ნაწილი ამ აზრს არ იზიარებს, ხოლო მეორე ნაწილი თვლის, რომ ასეთი სცენარის თავიდან ასაცილებლად მთავრობას სერიოზული ძალისხმევის გამოჩენა მოუწევს.

**„ფინანსთა სამინისტრო თანმიმდევრულ ხარჯვით პოლიტიკას ატარებს და ჭარბი ფულის ბრუნვაში გაშვების გადაცდომები, პრაქტიკულად, არა აქვს. მეტიც, ფინანსთა მინისტრი პირობას დებს, რომ არჩევნების ჩათვლით, არსებულ ტენდენციას შეინარჩუნებს. როცა პროგნოზირებენ, რომ წინასაარჩევნოდ ლარის კურსი გამყარდება, მხედველობაში სწორედ ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის თანმიმდევრულობა აქვთ. შეთქმულების თეორია, ხელისუფლება საარჩევნოდ ლარს გაამყარებსო, თითიდან გამოწოვილია, რადგან ვინც ეკონომიკის თეორიაში მცირედით მაინც ერკვევა, მიხვდება, რომ ლარი ავტომატურად, ბუნებრივ რეჟიმში გამყარდება“,** — აცხადებს ეკონომიკის ექსპერტი ლევან კალანდაძე.

რამდენიმე დღის წინათ მთავრობის წევრებმა განაცხადეს, რომ წლის ბოლომდე ლარის კურსს 2,2-2,25 დიაპაზონში ელოდებიან. ირიბად ისიც მიანიშნა სებ-მა (არაპირდაპირ, მაგრამ აზრი ასეთი იყო), თუ ძალიან გამყარდა ლარი, ინტერვენციებს დავიწყებთ და თუ 2,5-მდე გაუფასურდა, მაშინ პირიქით მოვიქცევითო. ამიტომ თსუ-ს პროფესორ დავით ასლანიშვილისთვის უკვე წინასწარ არის ცნობილი ლარის კურსის დიაპაზონიცა და მიზნობრივი მაჩვენებელიც. მისი აზრით განსაკუთრებით რთული წლის ბოლო 2 თვე იქნება.

**„გასათვალისწინებელია, რომ ცოტა ხანში რთვლის სუბსიდირების პროგრამა დაიწყება და ეს ბიუჯეტიდან ლარის დამატებით ხარჯვას გამოიწვევს, რაც ასევე გაზრდის მიმოქცევაში ფულის მასას. თავის როლს თამაშობს საარჩევნო ფაქტორიც. მოკლედ, საკმაოდ მძიმე მუშაობა მოუწევთ ერთდროულად, ფინანსთა სამინისტროსა და ეროვნულ ბანკს, რომ ასეთ ვითარებაში ლარის კურსი ისე შეინარჩუნონ, რომ არც მწვადი დაწვან და არც შამფური. არჩევნებამდე ერთგვარი ნევროზულობა იქნება ლარის კურსთან დაკავშირებით, ხოლო დაახლოებით 20 ოქტომბრიდან მძიმე სეზონი იწყება და ქმედითი ნაბიჯები იქნება გადასადგმელი ლარის კურსის სტაბილურობისთვის“,** — აცხადებს დავით ასლანიშვილი.

**ბექა დანელია**

◉ რას წერენ ჩვენზე

# საქართველო – ღვინის აკვანი და ღვინის ახალი ექსპორტიორი ქვეყანა

**„საქართველო ჩემს ფიქრებში: ღვინის ტურიზმის მომავალი ღვინის სამშობლოში“ – ამ სათაურით ამერიკული ჟურნალი The Wine Economist ქართული ღვინის შესახებ სტატიას აქვეყნებს.**

**ჟურნალისტი მაიკლ ვესეტი საქართველოში დაგეგმილ ღვინის ტურიზმის პირველი გლობალური კონფერენციის შესახებ წერს და მკითხველს ღვინის ექსპერტების მოსაზრებებს უზიარებს.**

***„უახლოეს დღეებში საქართველოში ჩავალთ, სადაც ღვინის ტურიზმის გლობალური კონფერენცია იმართება. ჩვენ შევეცადეთ საქართველოს, ქართული ღვინის და ღვინის ტურიზმის ინდუსტრიის შესახებ ყველაფერი შეგვესწავლა. გაგაცნობთ სამ მოსაზრებას, რომელიც ვფიქრობ ძალიან გამოსადეგია.“***

## „საბოლოო ზღვარი“

„ჯორჯ ტაბლერმა მთელი საუკეთესო პერიოდი მსოფლიოს გარშემო ღვინის ტურიზმის შესწავლაში გაატარა. დაწერა წიგნი და ეწვია სხვადასხვა ადგილებს, რომელიც ღვინის ტურიზმის რუკაზეა დატანილი, მათ შორის ბურგუნდია, ბორდო, ტოსკანა. მისი მონაცემები ძალიან საინტერესოა. საქართველოს შესახებ კი წიგნის საბოლოო თავში წერს. ტაბლერი ქართული ღვინით მოიხიბლა, ის აღწერს ღვინის დამზადების ტრადიციულ მეთოდებს, ქვევრს, სუფრას, ღვინის სმის წესებს და ტრადიციებს.“

## „ღვინის ტურიზმი, როგორც ეკონომიკის განვითარების სფერო“

მაიკლ ვესეტი თავისი კოლეგა კიმ ანდერსონის საქართველოში მოგზაურობას იხსენებს, რომელიც რამდენიმე წლის წინათ ეწვია და ქართული ღვინის ინდუსტრიის პოტენციალი გამოიკვლია.

**„ანდერსონის ნაშრომი „საქართველო – ღვინის აკვანი, ღვინის ახალი ექსპორ-**



**ტიორი ქვეყანა“ ნამდვილად კარგი საკითხავია. ანდერსონმა აღმოაჩინა, რომ ქართული ღვინის ბაზარი საკმაოდ მრავალფეროვანია. მისდა გასაკვირად ადგილობრივ ბაზარზე უდიდესი მოთხოვნაა სახლში დამზადებულ ტრადიციულ ღვინოზე. ღვინის ხარისხის გაუმჯობესების შედეგად ექსპორტი გაიზარდა აშშ-ში, კანადაში, დიდ ბრიტანეთში და ა.შ. რუსეთისგან განსხვავებით ამ ქვეყნებში ხარისხზე განსხვავებული მოთხოვნაა.**

ბოლო მონაცემებით, საქართველოს უმსხვილესი საექსპორტო ბაზრებია: რუსეთი, უკრაინა, ჩინეთი, ყაზახეთი და პოლონეთი. მაგრამ საკმაოდ მნიშვნელოვნად გაიზარდა ექსპორტი გერმანიაში, დიდ ბრიტანეთსა და კანადაში. ანდერსონის აზრით, ინდუსტრიისა და სოფლის მეურნეობის განვითარება ქართული ღვინის ექსპორტს კიდევ უფრო გაზრდის. ანდერსონი განსაკუთრებით დაინტერესდა ღვინის ტურიზმით, ამ სფეროს აქვს უდიდესი პოტენციალი, რომ სოფლად გაზარდოს სამუშაო ადგილები და შემოსავლები. კიმ ანდერსონის აზრით, საქართველოს გადაწყვეტილება უმასპინძლოს გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის ღონისძიებას, არის თანმიმდევრული და პრიორიტეტული გადაწყვეტილება. ანდერსონის აზრით, საერთაშორისო ტურიზმიდან შემოსავლები მნიშვნელოვანია საქართველოსთვის. ღვინისმოყვარულ ტურისტთა მოსაზიდად ანდერსონი სპეციფიკურ რეკომენდაციებს იძლევა, საუბარია მარნების განვითარებაზე.“

## „უკან ღვინის მომავალში“

**„სანამ ანდერსონი ეკონომიკის განვითარებას განიხილავს, ნატურალური ღვინის მოყვარული ალისა ფირინგი ქართული ღვინის სულზე ზრუნავს. ფირინგი თავის წიგნში „For the Love of Wine“ დიდ დროს უთმობს ქართულ ღვინოს და ღვინისმწარმოებლებს. ალისა შიშობს, რომ ტრადიციულ ღვინოს ახალი საფრთხე ემუქრება. ამერიკის, ბრიტანეთისა და ევროპის ბაზრებზე საერთაშორისო ნორმებით დაცულ ღვინოს ითხოვენ, რომელსაც მრავალი დანამატი აქვს. ალისა ფირინგის აზრით, რუსული კომუნიზმი და საერთაშორისო კაპიტალიზმი ტყუპები არიან, რომლებიც დაბადების შემდეგ განცალკევდნენ. ალისა შიშობს, რომ ორივე სისტემა ცალ-ცალკე ანადგურებს ღვინის არსს. ფირინგი ტრადიციულ მეღვინეობას მხარს უჭერს.**

**ნატურალური ღვინის მოძრაობა ფართო მასშტაბებს იძენს, სავარაუდოდ ღვინის ტურიზმი ვიზიტორებს ქართული ღვინის ელჩებად აქცევს. ამ ყველაფერს მე ახლა ვსწავლობ და ვიკვლევ, საქართველო აშკარად ჩემს ფიქრებშია“,** – აცხადებენ ექსპერტები.

The Wine Economist ღვინის ჟურნალებს შორის ამერიკის შეერთებულ შტატებში ყველაზე პოპულარული გამოცემაა.

სტატიის ბოლოს ავტორი მადლობას უხდის საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას და მის თანამშრომლებს ნინო ტურაშვილს და ვიქტორია კობერიძეს.

THE WINE ECONOMIST

# სასტუმროების ნახევარი ბოლო ოთხ წელიწადში აშენდა



მხოლოდ 2013-2015 წლებში ექსპლუატაციაში შევიდა მთლიანი სასტუმროების რაოდენობის 41,5%, ანუ, პრაქტიკულად, საქართველოში არსებული სასტუმროების ნახევარი სწორედ „ქართული ოცნების“ ხელისუფ-



ლების პირობებში შეიქმნა – განაცხადა პირველმა ვიცე პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა 2016 წლის ზაფხულის ტურისტული სეზონის შეჯამებისას.

„მინდა, აღვნიშნო, რომ ბოლო 3 **წლის განმავლობაში, 508 სასტუმრო შევიდა ექსპლუატაციაში. ამ მონაცემებში ჩვენ არ შეგვყავს 2012 წელს ექსპლუატაციაში შესული სასტუმროების რაოდენობა. საერთო ჯამში, 3 წელიწადში საქართველოს მასშტაბით 508 სასტუმრო შევიდა ექსპლუატაციაში, რაც 58%-ით აღემატება 2012 წლის ჩათვლით ექსპლუატაციაში შესული სასტუმროების რაოდენობას. მხოლოდ 2013-2015 წლებში ექსპლუატაციაში შევიდა მთლიანი სასტუმროების რაოდენობის 41,5%, ანუ პრაქტიკულად, საქართველოში არსებული სასტუმროების ნახევარი შეიქმნა სწორედ ჩვენი ხელისუფლების მმართველობის პირობებში და ეს არის სწორედ ის შედეგი, რომელიც მოჰყვა ჩვენს შრომას, რამაც შექმნა განსაკუთრებული საინვესტიციო პირობები და ის შესაძლებლობები, რომ ადამიანებს და კომპანიებს განეხორციელებინა თავისი ინვესტიციები“,** – განაცხადა ქუმსიშვილმა.

# აქ კასპელი ფალავნები აღიზრდებიან

**საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა ჯუანშერ ბურჭულაძემ კასპის მუნიციპალიტეტში სპორტკომპლექსის სარეაბილიტაციო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები დაათვალიერა.**

პროექტის ფარგლებში, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, რეაბილიტაცია ჩაუტარდა სასტუმროს შენობას, საჭიდაო შეჯიბრებისთვის განკუთვნილ წრიულ დარბაზს, სავარჯიშო სპორტდარბაზსა და ფიტნეს დარბაზს. ასევე, დასრულდა საქვაბის და საპირფარეშოების სარემონტო სამუშაოები და აშენდა სრულიად ახალი კალათბურთის დარბაზი. ამ ეტაპზე მიმდინარეობს სავენტილაციო სისტემის მონტაჟი.

სამუშაოების დასრულების შემდეგ, სპორტკომპლექსი ათასობით სპორტის მოყვარულს მოემსახურება. სპორტკომ-



პლექსის რეაბილიტაცია 2015 წლის დასაწყისში დაიწყო და მიმდინარე წლის შემოდგომაზე დასრულდება. პროექტი მსოფლიო ბანკის დაფინანსებით მიმდინარეობს და მისი ღირებულება 2 469 049 23 ლარია.

# ციხეებში ფოტოგადაღება დაუშვეს

**სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრმა პენიტენციურ დაწესებულებებში ფოტოგადაღების განხორციელების წესი დაამტკიცა:**



„საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის კახა კახიშვილის ბრძანებით, პატიმრობის კოდექსის საფუძველზე, „საქართველოს სახალხო დამცველის, აგრეთვე სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრის მიერ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციურ დაწესებულებებში ფოტოგადაღების უფლების განხორციელების წესი“ დამტკიცდა.

ბრძანებაში პენიტენციურ დაწესებულებებში სახალხო დამცველის, აგრეთვე, სახალხო დამცველის წინასწარი წერილობითი თანხმობით, სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრის მიერ ფოტოგადაღების განხორციელების წესი და პირობებია გაწერილი. ასევე, ბრძანებით არის დარეგულირებული დაწესებულებებში ფოტოაპარატის შეტანის და შემოწმების პროცედურები.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სახალხო დამცველისა და სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრის მიერ, ბრძანებით გათვალისწინებული ფოტოსურათების გამოყენება შეიძლება მხოლოდ სამსახურებრივი სარგებლობისთვის და დაუშვებელია მათი საჯაროდ გამოქვეყნება.

◉ გუშინდელი ფოსტიდან

# თბილსერვისის გულისხმიერებამ გაგვახარა

**იოსებიძის ქუჩის 25 ნომერში ახალი წლის ღამეს ხანძარი გაჩნდა, რომელიც ერთ-ერთი კორპუსიდან გასროლილმა პეტარდამ გამოიწვია. საბურთალოს რაიონის გამგეობამ დაზარალებულთა მიმართ ჯეროვანი ყურადღება გამოიჩინა, მაგრამ გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ, აუცილებელი გახდა დაზიანებული კედლების ჩამონგრევა და ნარჩენების გატანა, რაც მცხოვრებლების ძალებს აღემატებოდა. მათ დახმარებისთვის თბილისის დასუფთავების სამსახურს მიმართეს, რომლის თანამშრომელმა, ბატონმა რევაზ ციცაგმა ოპერატიულად შეისწავლა არსებული ვითარება და ხელმძღვანელის, ბატონი ზაზა ბეროშვილის მხარდაჭერით, ასევე საბურთალოს რაიონის გამგეობის წარმომადგენლის სალომე კეთილაძის თანადგომით, უმოკლეს დროში მოაგვარა არსებული პრობლემა.**

გვინდა, მადლობა გადავუხადოთ თბილსერვისის ჯგუფის ყველა იმ თანამშრომელს, რომლებმაც თავიანთი მაღალი პროფესიონალიზმითა და მოსახლეობის მიმართ გულისხმიერი მიდგომით შეძლეს ჩვენი დახმარება და თავიდან აგვაცილეს მოსალოდნელი გართულებები.

**ცირა მერაბიშვილი**

# მერიაში ეკოლოგიისა და გამწვანების სამსახურის რეორგანიზაცია იწყება...

**საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის რეორგანიზაციის დეტალებზე საუბრობს და აცხადებს, რომ სამსახურს სახელწოდებაც შეეცვლება. მისი ინფორმაციით, რეორგანიზაციის შემდეგ მერიის აღნიშნულ სამსახურს გარემოს დაცვისა და მწვანე ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური დაერქმევა.**

რაც შეეხება პროცესებში არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართვას, ალიბეგაშვილის თქმით, რეორგანიზაციის შემდეგ სამსახურში შესაბამის მიმართულებებზე სამი განყოფილება შეიქმნება.

# ზეციური ბილიკებით

**ჰოი, რა სიხარულით, აღტაცებით, აღფრთოვანებით გვამცნობდნენ, რომ:**

**2015 წლის აგვისტოში გრაკლიანის გორაზე გათხრებისას აღმოჩენილი უძველესი ტაძრის — ქრისტეს დაბადებამდე VII საუკუნით რომ თარიღდება — საკურთხევლის კვარცხლბეკზე ამოკვეთილი ერთსტრიქონიანი წარწერა ექსპერტიზაზე გადაეგზავნათ მაიამის ლაბორატორიაში, საიდანაც მოვიდოდა პასუხი: ეს უნიკალური წარწერა ჩვენს წელთაღრიცხვამდე XI-X საუკუნეებით თარიღდებაო.**

ჩვენი სააგენტოები ქართველ მეცნიერთა — არქეოლოგი იქნებოდა, ისტორიკოსი თუ ენათმეცნიერი — გამოკითხვის შემდგომ განაცხადებდნენ, რომ აღმოჩენა სრულიად ცვლის კავკასიაში დამწერლობის წარმოშობაზე შეხედულებებსა და ისტორიულ ცნობებს, რადგანაც ჩვენთვის მანამდე ცნობილი უძველესი ქართული დამწერლობის პირველი ნიმუშები ახალი წელთაღრიცხვის V საუკუნეს განეკუთვნება: პალესტინის ქართული მონასტრის — დაახლოებით 433 წლისა, ბოლნისის სიონის — 493-94 წლებისა, ჯვრის მონასტრის — VI-VII საუკუნეთა მიჯნის.


ბოლნისის წარწერა

თუმცა გრაკლიანის წარწერა ჯერჯერობით გაუშიფრავია, მაგრამ სარწმუნო ვარაუდით, ის რელიგიური შინაარსისა იქნებოდა, რაკილა საკურთხეველზეა ამოტვიფრული, და მხოლოდ ქურუმთათვის გასაგები.

თუ აღმოჩნდებოდა ამ წარწერის ანბანური წარმომავლობა, მაშინ შეიძლება უკვე თქმულიყო, რომ საქართველოს ტერიტორიაზე წერა ფინიკიელებთან შედარებით 200 წლით ადრე დაწყებულიყო.

უდავოდ მსოფლიო მნიშვნელობის აღმოჩენაა!..

და აღტაცდები, აბა რა იქნება, როდესაც აგერ ამერიკელი მეცნიერები ლაბორატორიული კვლევის წყალობით დაგიდასტურებენ: ქრისტემდე XI-X საუკუნეებისა უნდა იყოსო.

ჩვენ თუ პატრიოტული მოსაზრებით ვესწრაფოდით გრაკლიანის წარწერის „დაძველებას“, ამერიკელ მეცნიერებს რაღა რჯით საიმისოდ, არა?

აწ უკვე სკეპტიკოსებსაც მოეჭრებოდათ ეჭვების გაღვივების საშუალება.

წარწერის შინაარსის გახსნამდე ესეც ცოტა არ არის, უკვე დიდ სივრცეს რომ შეგვახედებს.

ოღონდ ესეცაა: პალესტინაო, ბოლნისიო, ჯვარიო...

მაგრამ ხომ არსებობს არმაზის საპიტიახშოს ნეკროპოლში აღმოჩენილი ვერცხლის ლანგარი და გამარჯვების სტელა, რომელზე ამოკვეთილი ხუთი ასონიშანიც გაიშიფრებოდა, როგორც ქართული ასომთავრული დამწერლობის ნიმუში.

და ეს ხდება ქრისტეს აქეთ I საუკუნეში.

სწორედ ესაა ყველაზე ადრეული დოკუმენტური დადასტურება ჩვენი ასომთავრულისაც და მსოფლიოში არსებული ანბანებისაც.

ამ აღმოჩენის ავტორი კი: **პავლე ინგოროყვა**.

მიიჩქმალებოდა ეს აღმოჩენა XX საუკუნის 40-იან წლებში.

მიიჩქმალებოდა 70-იან წლებშიც, მისი გამოკვლევის — „ქართული დამწერლობის ძეგლები ანტიკური ხანისა“ — ხელახალი გამოქვეყნებისას.

მეცნიერებად თავი მოაქვთ და კვლავაც მონდომებით ცდილობენ ამ გამოკვლევისათვის მიწის მიყრას აგერ ჩვენს თვალწინაც, როდესაც პავლე ინგოროყვას ეს მეცნიერული თხზულება ცალკე წიგნადაც გამოიცემოდა და დაერთვოდა მარიამ ნინიძისა და ლადო ჭელიძის ნარკვევი, კიდევ ერთი დადასტურება პავლე ინგოროყვას მინაგნების უტყუარობისა.

გამოქვეყნდებოდა და... ზედ მოჰყვებოდა გრაკლიანის საკურთხევლის წარწერის გამომზეურებაც, უშუალო ძაფები რომ გაიბმოდა მათ შორის, მეტ ღირებულებას რომ შესძენდნენ ერთმანეთს და როგორც ერთის, ისე მეორის მსოფლიო მნიშვნელობა კიდევ უფრო გამყარდებოდა.


გრაკლიანის აღმოჩენა

კიდევ ერთხელ აელვარდებოდა ლეონტი მროველის ცნობაც: მეფე ფარნავაზს რომ შეექმნა ქართული დამწერლობა ქრისტემდე III საუკუნეში.

და კიდევ ერთხელ აელვარდებოდა აპოლონიოს როდოსელის ეპიკურ თხზულებაში „არგონავტიკა“ შემონახული ცნობაც იმის თაობაზე, რომ: აიელებს ანუ კოლხებს მოეპოვებოდათ მამათაგან ნაწერი კირბები, რომელზეც მოგზაურთათვის ნაჩვენები იყო ზღვისა და ხმელეთის ყველა გზა და საზღვარი.

ამ ცნობაზე დაყრდნობით ქართველი მკვლევარები (სახელდობრ, აკაკი ურუშაძე) ძალდაუტანებლად ივარაუდებდნენ ანბანამდელი ქართული დამწერლობის წინარე საფეხურის — იეროგლიფური ნაირსახეობის არსებობას, სწორედ იმგვარ რაიმეს, აგერ გრაკლიანის საკურთხეველს რომ უნდა დაედასტურებინა ხელშესახებადაც.


როდოსელი

ამას გულისხმობდა აპოლონიოს როდოსელი, რაც გრაკლიანის წარწერად წარმოგვიდგება.

ამ მოსაზრების გამოკვეთა მომიხდებოდა სტატიაში „კორიბანტული იეროგლიფებიდან არმაზულ ასომთავრულამდე“, რომელიც გამოქვეყნდებოდა „საქართველოს რესპუბლიკის“ 2015 წლის 24 დეკემბრის ნომერში.

და საერთოდაც ეს გაზეთი მონდომებით ამოუდგებოდა მხარში „არგონავტიკის“ იმ დიდად მნიშვნელოვანი ცნობის დაკავშირებას გრაკლიანის წარწერასთან, და მათ შორის შემაერთებელ ხიდად არმაზული ასო-ნიშნების შემოტანასაც.

ამიტომაც დაიბეჭდებოდა მის ფურცლებზე:

ლადო ჭელიძის „დროის იეროგლიფები“ და ქართული დამწერლობითი კულტურა (წინაანბანური და ანბანური დამწერლობის ტრადიციები)“ — 2016 წლის 30 იანვრის ნომერში.

და იოსებ ჭუმბურიძის „გამარჯვება ლანგარზე და სამოცდათხუთმეტწლიანი უსულგულობა“ — იმავე წლის 23 მარტის ნომერში.

სხვათა შორის ბატონი იოსები მადლიერებით რომ მოიხსენიებდა რედაქციას პავლე ინგოროყვას წიგნისა და საერთოდ ამ აღმოჩენისათვის შესაფერისი ადგილის დათმობისათვის, გულისტკივილითაც დასძენდა:

— ღმერთი სამობითაა, თუმცა, რაკი ეს უმნიშვნელოვანესი ეროვნული საკითხი, ესოდენ პოპულარულ პორნოვიდეოთა ფონზე, სხვას არავის აინტერესებს, ხსენებულ გაზეთს, ალბათ, კიდევ ბევრჯერ მოუწევს მისთვის ადგილის დათმობა.

**აგერ ამჯერადაც!..**

მთავარი ისაა, რომ ჩვენმა ამერიკელმა მეგობრებმა რაღაც განსაკუთრებული კი არ აღმოგვიჩინეს, არამედ დაგვიდასტურეს ის, რაც თვეების წინათ თქვენმა მონა-მორჩილმა და მისმა თანამოაზრეებმა დაბეჯითებით განაცხადეს.

ჩვენს რწმენას განამტკიცებდა პავლე ინგოროყვასა და აკაკი ურუშაძის მტკიცებანი.

ხოლო მათ რწმენას: აპოლონიოს როდოსელის პოემის ის პასაჟიც, რატომღაც პოეტური ფანტაზიის ნაყოფად რომ მიიჩნევდნენ, მაგრამ გრაკლიანის საკურთხევლის წარწერასა და მის მიკვლევას ბოლო უნდა მოეღო ამგვარი სკეპტიკური მოსაზრებისთვის, რადგანაც ძველი ბერძენი ეპიკოსი უტყუარად წარმოსახავდა იმ რეალობას, რაც სუფევდა ძველი წელთაღრიცხვის XIII საუკუნის კოლხეთსა და საერთოდ ქართულ სამყაროში.

**ეს რა ბუნებრივად და ძალდაუტანებლად გადაეჯაჭვნენ ერთმანეთს: მაიამი, გრაკლიანი, არმაზი, აია და როდოსი.**

ეს ბილიკები იქ, ზეციურ სივრცეებშია გაბმული და ჩვენ ისღა გვევალება, მისი ხილული ანაბეჭდები ვირწმუნოთ ამქვეყნიურ ლანდშაფტსა და წუთისოფელში.

თუ არა, ამ ძაფების დაწყვეტას მაინც ნუღა შევეცდებით.

კიდევ ერთხელ გამოვხატოთ სიხარული, აღტაცება, აღფრთოვანება მაიამის ლაბორატორიული ანალიზის შედეგით.

კიდევ ერთხელ ვირწმუნოთ ძველი პოეტებისა, მათგან აპოლონიოს როდოსელიც ჭეშმარიტებებს რომ შეგვაგონებს.

და კიდევ ერთხელ მივენდოთ გზამკვლევად ქართველ შლიმანს — პავლე ინგოროყვას, თუ გვინდა მსოფლიო გზებზე გაღწევა იმ ღირებულებით, ჩვენს კულტურას რომ ეკადრება.

* * *

**რა გახდა პავლე ინგოროყვასადმი შესაფერისი პატივის მიგება?!.**

რა გახდა მის ღრმა, გონებამახვილურ შეხედულებათა და გაბედულ ჰიპოთეზათა დატრიალება სამეცნიერო მიმოქცევაში?!.

მეცნიერებს ირქმევენ და... ვერა და ვერ მოცილებიან თავიანთ ვიწრო სამზერს.

პავლე ინგოროყვას „ქართული ცივილიზაციის ისტორია“ და მისი თითოეული სვეტი ჯეროვან გამობრწყინებას მოელის და ის მთელი საქართველოს კუთვნილება და საგანძურია და არა ერთი რომელიმე გუნდისა თუ ჯგუფისა.



ჯერაც რამდენ მონაპოვარს იმარხავს ის ყველაფერი, რაც ამ დიდებული მეცნიერისა და მოღვაწის სახელით აღბეჭდილა.

ჯერაც რამდენ სიახლეს გვპირდება:

როდოსი-აია-არმაზი-გრაკლიანი-მაიამის ზეციურ ბილიკებზე მოგზაურობისა არ იყოს!..

**როსტომ ჩხეიძე**

# სიწმინდეები თავად ირჩევენ სავანეებს

**საქართველო და მისი ავტოკეფალური მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია ქრისტიანული სამყაროს გამორჩეული ადგილია, სადაც ძველი დროიდან დავანებულია უდიდესი ქრისტიანული სიწმინდეები, მათ შორის უმთავრესნი: აღმოსავლეთ საქართველოში — ქრისტე მაცხოვრის კვართი მცხეთაში, ხოლო დასავლეთ საქართველოში — ყოვლადწმინდა მარიამ ღვთისმშობლის პატიოსანი სამოსელი ზუგდიდში.**

1923 წლიდან მარიამ ღვთისმშობლის სიწმინდეები ინახება ზუგდიდის დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმში. 1990 წლიდან ყოველ წელს ღვთისმოშობლის წმინდა საფარველს „ვლაქერნასა შინა დიდების“ ხსენების დღეს, 15 ივლისს, მუზეუმიდან გადააბრძანებენ ზუგდიდისა და ცაიშის საეპარქიო ტაძარში, სადაც ზუგდიდელებსა და ზუგდიდის სტუმრებს საშუალება ეძლევათ, ტაძარში ლოცვით მიეახლონ უდიდეს ქრისტიანულ სიწმინდეს.

2015 წელს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ გაცემულმა საგანგაშო ბრძანებამ დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია ზუგდიდში. რომ არა ეპარქიის სასულიერო პირებისა და საპატრიარქოს დროული განცხადება, არავინ იცის, რით დამთავრდებოდა ეს მღელვარება. ბრძანება გაცემული იყო ორ ეპარქიაზე, რომლის თანახმადაც ჯერ 28 აგვისტოს — წმ. მარიამის მიძინების დღეს ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქიის სახელზე — ქალაქის მშენებარე ტაძარში, ხოლო 21 სექტემბერს ღვთისმშობლის შობის დღეს — ხობისა და ფოთის ეპარქიის სახელზე — ხობის მამათა ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში ღვთისმშობლის პატიოსანი სამოსლის ზუგდიდის მუზეუმიდან გადატანის ნებართვის შესახებ.

გამომდინარე აქედან, სრულიად საქართველოს ისტორიულ საგვარეულოთა შთამომავლობის, თავადაზნაურთა და მათ თანამდგომთა, საზოგადოება „ზუგდიდელის“, კოლხური კულტურის აღორძინების საქველმოქმედო ფონდისა და ვლაქერნის ღვთისმშობლის ტაძრის მრევლმა ვრცელი მიმართვის წერილი გაუგზავნეს საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ბატონ გიორგი კვირიკაშვილს და სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს: **„რადგან ღვთაებრივი არსით სიწმინდეები, თვითონვე ირჩევენ სავანეებს და მათი საბრძანისის შეცვლა, თუნდაც ყველაზე კეთილშობილური განწყობა-მოსაზრებებით, ყოვლად დაუშვებელია, ამიტომაც გთხოვთ კონსტიტუციური შეთანხმებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მოახდინოთ სამთავრობო-საკანონმდებლო რეგლამენტაცია და საქართველოს საპატრიარქოსთან შეთანხმებით გამოსცეთ შესაბამისი კანონქვემდებარე აქტი, რის საფუძველზეც გადაწყდება სპეციალური სამთავრობო კომისიის შექმნა, რომლის შემადგენლობაშიც შევლენ ეკლესიისა და სახელმწიფოს წარმომადგენლები, მეცნიერ-მკვლევრები, ექსპერტები, საზოგადო მოღვაწეები. მიგვაჩნია, აღნიშნული სამთავრობო კომისიის შექმნის გადაწყვეტილებამდე და შესაბამისი რეგულაციების შემოღებამდე უნდა შეჩერდეს ყოველგვარი ნებართვების გაცემა ზუგდიდის მუზეუმში დაცულ საეკლესიო საგანძურთან და ქრისტიანულ სიწმინდეებთან მიმართებაში“,** — ნათქვამია მიმართვის წერილში.

**ლადო ქირია**

# საბედისწერო როლები?



**რამდენიმე წლის წინათ რუსეთში ბესტსელერად იქცა მისტიკური შინაარსის მხატვრული ნაწარმოებები „დღის მზირი“ და „ღამის მზირი“, რომელთა მიხედვით რეჟისორმა თ. ბექმამბეტოვმა კინოფილმები გადაიღო. ჰოდა, სწორედ ამ ფილმების გადაღების შემდეგ მონაწილე მსახიობებს, ერთი მეორის მიყოლებით, უბედურებები ემართებათ.**

თავის ტვინის კიბოთი პირველი გარდაიცვალა საქვეყნოდ ცნობილი მსახიობი **ვალერი ზოლოტუხინი,** რომელმაც ვამპირის როლი შეასრულა. შემდეგ გარდაიცვალა „ბნელი“ **რიმა მარკოვა.** ახლახან გარდაცვლილი ცნობილი საესტრადო მომღერალი **ჟანა ფრისკე,** რომელმაც კუდიანის როლი განასახიერა, ამ სავალალო სიაში უკვე მესამე მსხვერპლი გახდა...

— მსახიობებისთვის შესრულებული როლები შეიძლება საბედისწერო გახდეს, — ამბობს ექსტრასენსი **დარია მირონოვა.** — როცა პერსონაჟს ასახიერებს, მსახიობი მასში საკუთარი თავის გარკვეულ ნაწილს ტოვებს, თავად კი სხვის ენერგეტიკას იღებს. შესაძლოა, ჟანა ფრისკეს თავიდანვე ეწერა ცხოვრებაში ხიფათი, ხოლო კუდიანის როლმა მასზე მოვლენათა ზეგავლენა გააძლიერა.

# „საბრძოლო“ მაკიაჟი

**ზედმეტად** მკვეთრი მაკიაჟი, თურმე, მამაკაცებს... აფრთხობს.



გამოკითხვების შედეგად გაირკვა, რომ მამაკაცებს უფრო ოდნავ დახატული, ანდა სულაც უმაკიაჟო ქალები მოსწონთ.

ქალების გამოკითხვამ კი აჩვენა, რომ მათ იმდენად ეშინიათ რჩეულის წინ უმაკიაჟოდ გამოჩენა, რომ ამის გაკეთებას მთელი თვის მანძილზე ერიდებიან. ქალების 8 პროცენტი კი უმაკიაჟო სახეს ქმრებსაც კი არ აჩვენებს!

# გაღიზიანების ზღურბლი



**მიჩიგანის (აშშ) უნივერსიტეტში ჩატარებული გამოკვლევით დადგინდა, რომ ქალები მამაკაცებზე გაცილებით სწრაფად გამოდიან წყობიდან.**

სპეციალისტებმა 235 კაცი გამოკითხეს იმის თაობაზე, თუ როგორ რეაგირებდნენ ისინი გარშემო მყოფთა უსაქციელობაზე, მათ შორის აგრესიაზე, უსამართლო კრიტიკასა და ნაზი გრძნობების უადგილო გამოვლენაზე. აღმოჩნდა, რომ ამ შემთხვევებში ქალები ემოციებს მამაკაცებზე მძაფრად გამოხატავენ.

მეცნიერთა აზრით, ქალები გაცილებით ყურადღებით აკვირდებიან სხვა ადამიანებს, ამიტომაც უფრო ადვილად ამჩნევენ საზოგადოებაში მოქცევის ნორმების დარღვევას.

# თევზის ერთი დღე

**ამერიკელმა მკვლევარებმა დაადგინეს, რომ ადამიანის ჯანმრთელობისთვის ერთ-ერთი ყველაზე სასარგებლო სურსათის — ზღვის პროდუქტების მოხმარება შეიძლება კვირაში ერთხელ.**



მათი განცხადებით, ზღვის პროდუქტების უფრო ხშირი მოხმარება მათ სასარგებლო მოქმედებას არ აძლიერებს, რაც 40 ათას კაცზე ჩატარებულმა დაკვირვებამ ცხადჰყო.

ამჟამად დიეტოლოგები იმ აზრზე არიან, რომ ზღვის პროდუქტების შეძენაზე ზედმეტი ფულის ხარჯვა არ ღირს — კვირაში ერთი ულუფა თევზის მიღება საკმარისია საიმისოდ, რომ ომეგა-3-ის მჟავებმა ჩვენი სისხლძარღვები დაიცვას. საშუალო ასაკის ადამიანებს მეცნიერები ზღვის თევზის, მაგალითად, ცხიმიანი **სკუმბერისა** და **ქაშაყის** მოხმარებას ურჩევენ.

# ჰიპერტონიის „წვრილმანები“

**მაღალ წნევას (ისევე, როგორც ნორმალურზე დაბალს), ანუ ჰიპერტონიას, სამწუხაროდ, ბევრნი, მათ შორის არა მარტო ასაკოვანი ხალხი, არამედ ახალგაზრდებიც უჩივიან.**



ამავე დროს, ხშირად ხდება ხოლმე, რომ როცა ჰიპერტონიკების მაღალი წნევა ნორმაზე დაჰყავთ (ვთქვათ, წამლების მიღების შემდეგ), ისინი თავს მაინც ცუდად გრძნობენ. ამდენად, ბევრს აინტერესებს, საჭირო ხომ არ არის ამ დროს წნევის კონკრეტული პირისთვის მისთვის ჩვეულ მაღალ დონემდე აყვანა?

ამაზე ექიმებს სრულიად კონკრეტული პასუხი აქვთ: ნორმაზე ზევით წნევის აწევა საჭირო არ არის! თუკი ჰიპერტონიით დაავადებული კაცი წნევის ნორმის ფარგლებში შენარჩუნებას შეძლებს, თანდათანობით იგი მას მიეჩვევა და თავსაც კარგად იგრძნობს. ასეთ შემთხვევაში მიზანი წნევის სინდიყის 140/90-ზე შენარჩუნებაა.

# გენების აქტივობის კალენდარი

**გერმანელ და ბრიტანელ მეცნიერთა კვლევების შედეგად დადგინდა, რომ წელიწადის დროთა ცვლილება ორგანიზმის იმუნურ სისტემისა და მრავალი გენის აქტივობაზე მოქმედებს.**



მეცნიერებმა დიდი ხნის წინათ მიაქციეს ყურადღება ზოგიერთი დაავადების, მაგალითად, გულის, დიაბეტის, ფსიქიკური აშლილობების „სეზონურ“ ხასიათს, თუმცა კი მათი გამძაფრების მიზეზი ცნობილი არ იყო.

სპეციალისტებმა სხვადასხვა ქვეყნის, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატების, ავსტრალიის, დიდი ბრიტანეთის, ისლანდიის, გამბიის 16 ათასი პაციენტის ცხიმური ქსოვილისა და სისხლის ანალიზი ჩაატარეს. ერთ-ერთი მოულოდნელი აღმოჩენა იყო ARNTL — გენის სეზონური აქტივობა, რომელიც ინფექციაზე ორგანიზმის რეაქციაზეა პასუხისმგებელი. ჩრდილოეთ ნახევარსფეროში მცხოვრებ ადამიანებში, იგი უფრო აქტიურია ზაფხულის თვეებში, რაც წლის თბილ დროს ავადმყოფობების უკეთ გამკლავების შესაძლებლობას აძლევს ორგანიზმს. კიდევ ერთი საგულისხმო აღმოჩენა იმაში მდგომარეობს, რომ **ის გენები, რომლებიც ვაქცინაციის შემდეგ აქტიურდებიან, ზამთრის პერიოდში გაცილებით ეფექტიანად მუშაობენ.** მიღებული შედეგის გათვალისწინებით კი შესაძლებელია მკურნალობისა და აცრების ეფექტიანობის მნიშვნელოვნად გაზრდა.

# თუ კარგ გუნებაზე დადგომა გსურთ...

**ბრიტანელი ფსიქოლოგები ირწმუნებიან, რომ ჩვეულებრივ მაღაზიაში არა მარტო საჭირო ნივთების შეძენა, არამედ... კარგ გუნებაზე მოსვლაც შეიძლება და საყიდლებზე სიარულის რამდენიმე დადებით მხარეზე ამახვილებენ ყურადღებას.**

აღმოჩნდა, რომ დროდადრო მაღაზიებში ლაშქრობები ხანდაზმულობით გონებასისუსტის ჩინებული პროფილაქტიკა ყოფილა: თურმე რაღაცის ყიდვის დროს მეხსიერებაზე პასუხისმგებელი თავის ტვინის უბნები აქტიურდება. ინტელექტის შესანარჩუნებლად სპეციალისტები ხანდაზმულ ადამიანებს მაღაზიაში სიარულს სულ მცირე კვირაში სამჯერ მაინც ურჩევენ. გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ საყიდლებზე რეგულარულად მოსიარულე მამაკაცებში გულის დაავადებებისგან სიკვდილის საფრთხე 20 პროცენტით ნაკლებია, ვიდრე მათში, ვინც ამ საქმეს თავის მეუღლეებს ანდობს. აღმოჩნდა, რომ **სიცოცხლის გასახანგრძლივებლად საკმარისია მაღაზიაში საყიდლებზე კვირაში საათ-ნახევარი-ორი საათის დახარჯვა.** ამ დასკვნას ამერიკელი სპეციალისტებიც ეთანხმებიან: მათ გამოითვალეს, რომ ქალბატონები, რომლებიც მაღაზიებში კვირაში 2-3-ჯერ დადიან, წელიწადში 335 კილომეტრს გადიან. თანაც აღმოჩნდა, რომ როცა რაღაცას ყიდულობენ, ქალები გაცილებით უფრო სწრაფად მოძრაობენ, ვიდრე ჩვეულებრივი ფეხით სიარულის დროს, ხოლო დატვირთვა დაახლოებით ისეთივეა, როგორსაც სპორტულ დარბაზში ველოტრენაჟორზე ან სარბენ ბილიკზე მიიღებდნენ.

ფსიქოლოგები დარწმუნებულები არიან, რომ **ახალი ნივთის შეძენას კარგ გუნებაზე დაყენება შეუძლია.** მაგრამ, საიმისოდ, რომ მაღაზიებში საყიდლებზე სიარულმა სიხარული მოგანიჭოთ, საქმეს დაკვირვებით უნდა მიუდგეთ.

● ყველაზე მთავარია წინასწარვე დაგეგმოთ, თუ რისი ყიდვა გინდათ. ერთი, რომ ეს გაუთვალისწინებელი ხარჯისგან დაგიცავთ, მეორეც — ნანატრი ნივთის შეძენის მოლოდინი კარგ გუნებაზე მაღაზიაში მისვლამდეც დაგაყენებთ.

● ამის გარდა, ახალმა ნივთებმა სიამოვნება რომ მოგანიჭოთ, საამისოდ „ცოცხალ“ მაღაზიებშია სიარული საჭირო და არა მოწონებულის ინტერნეტ-მაღაზიაში შეკვეთა. თურმე იმ დროს, როცა კაცი საქონელს „ცოცხლად“ ათვალიერებს, ხელს ავლებს მოწონებულ ნივთს და გამყიდველებთან ურთიერთობს, სტრესისა და განგაშის გრძნობა ორჯერ უფრო სწრაფად უწყნარდება, ვიდრე ინტერნეტში საჭირო საგნების არჩევისას.

მკვლევარებმა ასევე დაადგინეს, რომ **გარკვეული ნივთების შერჩევა გულისცემას აჩქარებს.** მაგალითად, ქალები ყველაზე მეტად ახალი კაბის არჩევისას ღელავენ — ამ დროს მათი პულსი წამში 120 დარტყმამდე ადის, ჩანთების ყიდვისას 110 დარტყმამდე. მამაკაცებს კი უფრო... ქალის საცვლების ყიდვის დროს „ეკუმშებათ გული“, რა დროსაც იგი წამში 125 დარტყმას აკეთებს. ამავე სიხშირით უძგერს გული საშუალოსტატისტიკურ გულშემატკივარს, როცა მის საყვარელ გუნდს გოლი გააქვს.




აღსანიშნავია, რომ ახალი ნივთების შეძენისას გულისცემის აჩქარება ხანმოკლე მოვლენაა, რომელსაც გულისთვის არავითარი ზიანი არ მოაქვს და მას ტონუსის შენარჩუნებაში ეხმარება.

# უცნობი გენერალისიმუსი...

## სტალინი. პირადი ცხოვრება




*იაკობ ჩადაევის მოგონებები*

***ჩაწერილია გ. ა. კუმანევის მიერ***

### მოლაპარაკება ბერლინში

**ამ** შენიშვნებზე, ჰიტლერს თითქოს ცივი წყალი გადაასხესო, როგორღაც შეკრთა, სახეზე წუთით დაბნეულობა აესახა, მაგრამ მდგომარეობიდან ისევ მისმა აქტიორულმა ნიჭმა გამოიყვანა — თითები ერთმანეთში დრამატულად გადააჭდო, თავი უკან გადახარა და ჭერს მიაჩერდა. მერე სავარძელში შეიშმუშნა და სხაპასხუპით განაცხადა: „გერმანული სამხედრო ნაწილი რუმინეთში ანტენოსკუს მთავრობის თხოვნით გაიგზავნა რუმინული მებრძოლების სწავლებისთვის, რაც შეეხება ფინეთს, გერმანული სამხედრო ნაწილი საერთოდ არ აპირებს იქ შეჩერებას, ისინი მხოლოდ იმ ქვეყნის ტერიტორიას გაივლიან და ნორვეგიაში ჩავლენ“... თუმცა ფაქტები სულ სხვაზე მიუთითებს, აშკარაა რომ გერმანელები მტკიცედ განლაგდნენ საბჭოთა კავშირის საზღვრებთან...


მოლოტოვი და რიბენტროპი

— ფიურერის განმარტებამ, — განაგრძობდა მოლოტოვი, — არ დააკმაყოფილა საბჭოთა დელეგაცია. საბჭოთა მთავრობას, ფინეთსა და რუმინეთში ჩვენი წარმომადგენლების მიერ გაკეთებული მოხსენებების საფუძველზე, სულ სხვა შთაბეჭდილება შეექმნა. გერმანელი ჯარისკაცები, რომლებიც ფინეთის სამხრეთ ნაწილში არიან გადაყვანილები, არსად არ გადაადგილდებიან, და, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ კარგა ხანს დარჩებიან იქ... რაც შეეხება რუმინეთს, საქმე იქ მხოლოდ სამხედრო მისიით არ შემოიფარგლება, — ქვეყანაში სულ უფრო ახალი და ახალი გერმანული სამხედრო შენაერთები შედიან, რაც მხოლოდ ერთი მისიისთვის ძალიან ბევრია. მაშინ, რა არის მათი ჯარის იმ ქვეყანაში გადასროლის ნამდვილი მიზანი? მათმა ამგვარმა მოქმედებამ არ შეიძლება მოსკოვში შეშფოთება არ გამოიწვიოს, ამიტომაც გერმანიის მთავრობამ ამაზე ზუსტი პასუხი უნდა გასცეს...

მიუთითა რა თავის არაზუსტ ინფორმირებულობაზე (თუმცა ეს მხოლოდ გამოცდილი დიპლომატიური მანევრი იყო), ჰიტლერი დაგვპირდა, რომ დაინტერესდებოდა ამ საკითხებით და ისევ მოჰყვა ლაქლაქს მსოფლიოს გადანაწილებაზე თავისი გეგმების შესახებ და აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირს შეუძლია დაინტერესდეს ქვეყნის სამხრეთი საზღვრების, კერძოდ, ინდოეთის ოკეანის მიმართულებით განლაგებული ტერიტორიით... ჰიტლერმა ისიც განაცხადა, რომ კარგი იქნებოდა, საბჭოთა კავშირი სპარსეთის ყურეში გასასვლელს თუ მოიპოვებდა, რისთვისაც უნდა დაიპყროს დასავლეთი ირანი და დაეუფლოს ინგლისის ნავთობის სარეწებსო.

— საბჭოთა კავშირი, რა თქმა უნდა, არ წამოეგება ამ ანკესზე, — ჩაერთო საუბარში იოსებ ბესარიონის ძე, — ეს ქვეყანა ჩვენი მეზობელია, მასთან თბილი და კარგი ურთიერთობა უნდა გვქონდეს.

— იძულებული გავხდი, სიტყვა შემეწყვეტინებინა ჰიტლერისთვის, — განაგრძო მოლოტოვმა, — მეთქვა, რომ ჩვენ ვერ ვხედავთ აზრს მსგავსი კომბინაციის განხილვაში. საბჭოთა კავშირი დაინტერესებულია იმ რაიონების სიმშვიდესა და უშიშროებაში, რომლებიც მას უშუალოდ ესაზღვრებიან... აქ ჰიტლერმა რიბენტროპს თავით ანიშნა და რიბენტროპმა გვთხოვა განგვეხილა საბჭოთა კავშირის, გერმანიის, იტალიისა და იაპონიის სამხედრო ბლოკთან გაერთიანების ოქმის პროექტი, ჩვენთვის უკვე სრულიად აშკარა გახდა, რომ მისი მახვილი საბჭოთა კავშირისკენ იყო მიმართული და, ბუნებრივია, საბჭოთა დელეგაციამ ამ წინადადებაზე მტკიცე უარი განაცხადა.

— ძალიან კარგი! — გაბრაზებული ჩაერთო სტალინი.

ამის შემდეგ მოლოტოვმა ილაპარაკა მეორე დღეს გაგრძელებული მოლაპარაკების შესახებ, რომელიც თითქმის არაფრით განსხვავდებოდა წინა დღისაგან... ფაშისტურ გერმანიას რომ ვტოვებდით, — თქვა მან ბოლოს, — საბჭოთა დელეგაციის ყველა წევრი დარწმუნებული იყო, რომ გერმანიის მხრიდან წამოწყებული თაოსნობა შეხვედრის შესახებ, მხოლოდ მოსაჩვენებლის დემონსტრირება იყო... მთავარი მოვლენა წინ გველის გერმანია ცდილობდა, საბჭოთა კავშირი იმ ვითარებაში ჩაეყენებინა, რომელიც საერთაშორისო არენასთან დაგვაკავშირებდა, გაგხვდიდა იზოლირებულს დასავლეთისგან და სამოქმედოდ ხელს გაუთავისუფლებდა ინგლისთან დაზავებისთვის, მაგრამ, ჩვენმა დელეგაციამ შესაძლებლობის მაქსიმუმი გააკეთა და ეს მცდელობა ჩაუშალა. საბჭოთა დელეგაციის ყველა წევრი უკვე დარწმუნებულია, რომ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გერმანიის აგრესია გარდაუვალია და არცთუ ისე შორეულ მომავალში.

* * *

**კითხვებზე მოლოტოვის მიერ პასუხის გაცემის შემდეგ გამოვიდა სტალინი და თქვა:**

მიმოწერაში, რომელსაც ამ თვეებში ჰქონდა ადგილი ბერლინსა და მოსკოვს შორის, იყო მინიშნება იმის შესახებ, რომ ცუდი არ იქნებოდა მომწიფებული საკითხების განხილვა ორივე ქვეყნის მაღალი თანამდებობის პირთა მონაწილეობით. გერმანელების ერთ-ერთ წერილში პირდაპირ იყო მითითებული, რომ მოსკოვში რიბენტროპის ბოლო ვიზიტის შემდეგ სერიოზულად შეიცვალა ვითარება, როგორც ევროპაში, ისე მთელ მსოფლიოში, ამიტომაც სასურველი იქნებოდა, საბჭოთა კავშირის უფლებამოსილი დელეგაცია ჩასულიყო ბერლინში მოლაპარაკებისთვის... იმის გამო, რომ საბჭოთა ხელისუფლება ყოველთვის საერთაშორისო პრობლემების მშვიდობიანი გადაწყვეტის წინადადებით გამოდის, ამა წლის ნოემბერში იქ კრების ჩატარების თაობაზე გერმანიის წინადადებას დადებითად ვუპასუხეთ. ესე იგი, გამოვიდა, რომ საბჭოთა დელეგაციის გამგზავრება ბერლინში შედგა გერმანიის თაოსნობით. როგორც ჩვენთვის არის ცნობილი, ბერლინიდან ჩვენი დელეგაციის წამოსვლის შემდეგ ჰიტლერმა საჯაროდ განაცხადა, გერმანია-რუსეთის სამშვიდობო ურთიერთობა საბოლოოდ მტკიცედ არის გადაწყვეტილიო. მაგრამ, ჩვენ კარგად ვიცით მათი ამ მტკიცებულების ფასი. ჩვენთვის ჯერ კიდევ მანამდე იყო ყველაფერი ცხადი, ვიდრე ჰიტლერს შევხვდებოდით, რომ ის არ მოისურვებდა, ანგარიში გაეწია, გაეთვალისწინებინა საბჭოთა კავშირის ის კანონიერი ინტერესები, რომელიც ნაკარნახევი რომ იყო ჩვენი ქვეყნის უშიშროების პრობლემით. ამიტომაც, ბერლინის შეხვედრას განვიხილავდით, როგორც გერმანიის მთავრობის პოზიციის მოსინჯვის რეალურ შესაძლებლობას. ამ მოლაპარაკებისას ჰიტლერის პოზიცია, კერძოდ ის, რომ ჯიუტად არ სურდა, გაეთვალისწინებინა ჩვენი კატეგორიული მოთხოვნა, შეეწყვიტა ფინეთისა და რუმინეთის ფაქტობრივი ოკუპაცია, ცხადია, საბჭოთა კავშირის „გლობალური ინტერესების“ შეულახაობის შესახებ მისი იმ დემაგოგიური განცხადების მიუხედავად, სინამდვილეში მიდის აქტიური მზადება ჩვენ ქვეყანაზე თავდასხმის შესახებ. მიაღწია რა ბერლინის შეხვედრას, ჰიტლერს უნდოდა შეენიღბა თავისი ჭეშმარიტი ზრახვები...

ერთი რამ ცხადია: ნაცისტების ფიურერი თამაშობს ორმაგ თამაშს. ამზადებს რა თავდასხმას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ცდილობს, შეუქმნას საბჭოთა კავშირს შთაბეჭდილება თითქოს მზად არის, განიხილოს საკითხი საბჭოეთისა და გერმანიის ურთიერთობის მომავალი მშვიდობიანი განვითარების შესახებ და ამით დრო მოიგოს.

ამის შემდეგ სტალინმა ილაპარაკა ჰიტლერის მთავრობის სათავეში მდგომთა თვალთმაქცურ ქცევაზე, ილაპარაკა 1939 წელს მოსკოვში გამართული მოლაპარაკების დროს ინგლისისა და საფრანგეთის პოზიციის შესახებ, როცა ისინი მზად იყვნენ, წაექეზებინათ გერმანია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

— მაშინ ჩვენ შევძელით, თავიდან აგვერიდებინა ფაშისტური გერმანიის თავდასხმა, რაშიც დიდი როლი ითამაშა გერმანიასთან დადებულმა თავდაუსხმელობის პაქტმა, — თქვა ხაზგასმით სტალინმა.

... მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ დროებითი სულის მოთქმა იყო, ვინაიდან შეიარაღებული აგრესიის დაუფარავი მუქარა ჩვენ წინააღმდეგ არ გამქრალა, მხოლოდ ოდნავ შესუსტდა. გერმანიაში ამ მიმართულებით უძლიერესი ძალები მოქმედებენ, რაიხის მმართველი წრეები კი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის საკითხის დღის წესრიგიდან მოხსნაზე არ ფიქრობენ. პირიქით, ისინი კიდევ უფრო ამძაფრებენ ამ მხრივ თავიანთ ქმედებას და ხაზს უსვამენ, ყურადღებას ამახვილებენ რომ პრობლემა საბჭოთა კავშირზე თავდასხმისა წინასწარ არის გადაწყვეტილი.

საკითხავია, მაშინ რა აზრი ჰქონდა ფიურერის ყბედობას საბჭოთა კავშირთან თანამშრომლობის შესახებ?! შეიძლებოდა თუ არა, ჰიტლერს დროებით მაინც ეთქვა უარი, „მაინ კამფში“ გამოცხადებულ აგრესიაზე საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ? რა თქმა უნდა, არა! — თქვა მტკიცედ სტალინმა.

* * *

**ამის შემდეგ იოსებ ბესარიონის ძემ მოკლედ დაახასიათა ჰიტლერი:**

— ისტორიამ არ იცის ისეთი ფიგურა, როგორიც ჰიტლერია, — აღნიშნა სტალინმა, — ჰიტლერის მოქმედებაში არ იყო ერთიანი, მიზანმიმართული ხაზი, მისი პოლიტიკა გამუდმებით იცვლებოდა, ხშირად დიამეტრულად საპირისპიროდაც... ფაშიზმის თეორიაში იყო და არის ნამდვილი დომხალი. ჰიტლერელები თავისთავს ნაციონალისტებს ეძახიან, მაშინ როცა იმპერიალისტები არიან, მათი პარტია კი იმპერიალისტური პარტიაა — სხვათა შორის გაცილებით ავაზაკური და დამპყრობლური, მსოფლიოში არსებულ იმპერიალისტებს შორის. „სოციალიზმი“, „ნაციონალიზმი“ — ეს მხოლოდ ლეღვის ფოთლებია, რომლითაც თავს იფარავენ, რათა მოატყუონ ხალხი, გაასულელონ გულუბრყვილო ადამიანები და ამით თავიანთი მტაცებლური რაობა დაფარონ. გერმანია თავის იდეოლოგიურ იარაღად რასისტულ თეორიას იყენებს. ეს არის ხალხთა დამონების, ადამიანების დაბეჩავების კაცთმოძულეობრივი თეორია...

ჰიტლერი თავს მშვიდობისმოყვარეს ეძახის და ამას გამუდმებით იმეორებს, მაშინ როცა მისი პოლიტიკის ძირითადი პრინციპი მუხანათობაა. ხელშეკრულებით იგი ავსტრიასთან, პოლონეთთან, ჩეხოსლოვაკიასთან, ბელგიასთან, ჰოლანდიასთან იყო დაკავშირებული, მაგრამ არც ერთი მათგანის დაცვა არასოდეს უცდია და არათუ დაიცვა, არამედ, როგორც კი დასჭირდა, ვერაგულად უგულებელყო მათ შორის არსებული მოლაპარაკებები. ასეთივე ბედს უმზადებს ჩვენს ხელშეკრულებასაც. მაგრამ გერმანიასთან დადებული თავდაუსხმელობის ამ ხელშეკრულებით, ჩვენ უკვე მოვიგეთ ერთი წელი, რათა მოვმზადებულიყავით გადამწყვეტი, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისავის ჰიტლერიზმის წინააღმდეგ. რა თქმა უნდა, ჩვენ არ შეგვიძლია საბჭოთა კავშირ-გერმანიის პაქტი განვიხილოთ უშიშროების მთავარ საიმედო საყრდენად, ქვეყნის უცილობელი მშვიდობის საწინდარი მხოლოდ ჩვენი შეიარაღებული ძალების განმტკიცება-გაძლიერებაა. ამავე დროს, ჩვენ კვლავაც განვაგრძობთ მშვიდობისთვის მებრძოლთა და ხალხთა შორის მეგობრობის ჩვენს მისიას...


ადოლფ ჰიტლერი

(გაგრძელება იქნება)

დასაწყისი იხ. № 65-140, 142, 143, 146, 150, 152, 156, 157, 162

მეტოქე

# მარსელ კოლერის რეფორმები

**5 სექტემბერს საქართველოს ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის პირველ საკვალიფიკაციო მატჩს გამართავს, ვლადიმირ ვაისის გუნდი ავსტრიის ნაკრებს მასპინძლობს.**

salzburg.com-ის ინფორმაციით, ავსტრიელთა თავკაცმა **მარსელ კოლერმა**



თბილისში გამომგზავრებამდე პუბლიკას უნდა წარუდგინოს ახალი კაპიტანი და 1-2 ახალწვეულიც. ევრო 2016-ზე წარუმატებელი ასპარეზობიდან 60 დღის გასვლის მერე მწვრთნელს განახლებული შემადგენლობის დასახელება მოუწევს.

ავსტრიაში ელიან, რომ კოლერი საკმაოდ დიდ საკადრო რევოლუციას მოახდენს. მან ასევე უნდა დაასახელოს „ლესტერის" მარცხენაფლანგელ **კრისტიან ფუხსის** მემკვიდრე ნაკრებში. იგი ჯერ მხოლოდ 30 წლისაა, მაგრამ ჯგუფში ჩარჩენის შემდეგ გამოაცხადა, რომ ნაკრებში გატარებული 10 წლითა და 78 კეპით უზომოდ ამაყობს, მაგრამ ეროვნული გუნდიდან მაინც მიდის.

ამბობენ, რომ ნაკრებში მიიწვევენ „მაინცის" ფორვარდ **ქარიმ ონისივოს**, რომელსაც აქამდე მხოლოდ ერთ ამხანაგურ მატჩში უთამაშია ეროვნულ გუნდში. კოლერი ნაკრების კაპიტნად, დიდი ალბათობით, „ლევერკუზენის" ნახევარმცველ **იულიან ბაუმგარტლინგერს** დანიშნავს.

**გიორგი შოთაძე**

# „განწყობითაც და სიფრთხილითაც"

**ავსტრიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ლეო ვინდტნერმა განაცხადა, რომ ნაკრებმა ევრო-2016-ზე განცდილი მარცხი უნდა დაივიწყოს და ყველანაირად ეცადოს, მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვდეს. ავსტრიას მუნდიალზე 1998 წლის შემდეგ არ უთამაშია.**



5 სექტემბერს თბილისში მართლაც საინტერესო მატჩს ველით. საქართველო და ავსტრია აქამდე არასოდეს შეხვედრიან ერთმანეთს — ხშირი იყო საკლუბო დაპირისპირებები და ჩვენთვის ტკბილად მოსაგონარი შედეგები არ დაფიქსირებულა, აი, სანაკრებო დონეზე კი 5 სექტემბერს გავიგებთ, რა და როგორ...

ვინდტნერმა თქვა, თბილისში რთული ბრძოლა გველის, მაგრამ ყველანაირი საბაბია იმისა, რომ ნაკრები მატჩზე ამაღლებული განწყობით გავიდეს. თუმცა, ავსტრიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი გარკვეულწილად სიფრთხილესაც იჩენს და ამბობს:

„საქართველო წინა შესარჩევში ორივეჯერ ღირსეულად ეთამაშა გერმანიას. მათ ევროპის ჩემპიონატის წინა დღეებში ესპანეთს სტუმრად მოუგეს ამხანაგურ შეხვედრაში. ჩვენ ყველანაირად უნდა ვეცადოთ, რომ მინიმუმ მეორე ადგილზე გავიდეთ ჯგუფში, ამიტომაც პირველ თამაშში გამარჯვება ბევრის მომტანი იქნება. იმედია, ასეც მოხდება".

**ვიტალი ჯაფარიძე**

სახელი

# გოლიათის გზა

**გასული საუკუნის 50-იანი წლების მიწურულსა და 60-იან წლებში ქართველმა კალათბურთელებმა არაერთი სახელოვანი ფურცელი ჩაწერეს სამამულო სპორტის მატიანეში. თანაგუნდელებთან ერთად იმ გამარჯვებების შემოქმედი გახლდათ გიგანტი თავდამსხმელი ანზორ ლეჟავა, რომელმაც ბავშვობის წლები აბაშის რაიონის სოფელ ქოლობანში გაატარა. მეათე კლასში უცებ აიყარა ტანი და კალათბურთის სექციაში ჩაეწერა. ბორჯომში საქართველოს მოსწავლეთა პირველობაზე უნდა წასულიყო, მაგრამ სკოლას მედალზე ამთავრებდა და სპორტისთვის სად ეცალა. აბაშელებს იმ შეჯიბრებაზე ცნობილ სპეციალისტ მიხეილ კეკელიძისთვის უთქვამთ, ორმეტრიანი ბიჭი გვყავს და იქნებ, მიხედოთო. მართლაც გამოიძახეს საწვრთნელ შეკრებაზე. პირველი ვარჯიშისას თანატოლებს რომ შეხედა, გული შეუქანდა — ასე ვერასდროს ვითამაშებო, გაიფიქრა. „ძია მიშა" უთქმელად მიუხვდა. მოინდომე და ყველაფერი კარგად იქნებაო, უთხრა. თავს არ ზოგავდა და მიზანსაც მიაღწია. იმ წელიწადს თანაგუნდელებთან ერთად ლენინგრადში საკავშირო პირველობა მოიგო. მერე პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი გახდა და „ბურევესტნიკის" შემადგენლობაში ჩაირიცხა. ეს გუნდი მაშინ საკავშირო ჩემპიონატის „ბ" ჯგუფში გამოდიოდა. 1957 წელს „ა" კლასში თამაშის უფლება მოიპოვა, რაშიც დიდი წვლილი ანზორ ლეჟავას მიუძღოდა.**

— უმაღლეს ლიგაში კი გადმოვედით, მაგრამ იქ ადგილის შენარჩუნება გაგვიჭირდა, — იხსენებს ერთ-ერთ ინტერვიუში „ბურევესტნიკის" ცენტრალური თავდამსხმელი. — ბოლოსწინა ტურში დიდების ზენიტში მყოფ ლატვიის არმიელთა გუნდს დავუპირისპირდით. ბალტიისპირელთა რიგებში თამაშობდნენ კრუმინში, მუიჟნიეკსი, ვალდმანისი, გულბისი. წაგების შემთხვევაში „ა" კლასს ვტოვებდით. დაძაბული ორთაბრძოლა 2 ქულის სხვაობით მოვიგეთ, მეორე დღეს სვერდლოვსკელებს ვძლიეთ და უმაღლეს ეშელონში ადგილი შევინარჩუნეთ.

— 210 სანტიმეტრის სიმაღლის წარმატებული კალათბურთელი მალე თბილისის „დინამოში" გადაიყვანეს, რომლის შემადგენლობაში მან საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი მოიგო და



საკავშირო თასი დაისაკუთრა. საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ვერცხლის მედალოსანმა და საკავშირო ჩემპიონატების მრავალგზის პრიზიორმა 1963 წელს მსოფლიოს ჩემპიონატზე მესამე ადგილი დაიკავა, 1962 წელს კი ევროპის ჩემპიონთა თასი მოიპოვა: ჯერ რუმინეთისა და თურქეთის გუნდებს მოუგეს, შემდეგ ცსკას აჯობეს ორივე მატჩში, ხოლო ფინალურ პაექრობაში მადრიდის „რეალი" დაამარცხეს 90:83. ჟენევაში გამარჯვება ქართული კალათბურთის ტრიუმფი იყო.

1963 წელს მე, გურამ მინაშვილი და ვლადიმერ უგრეხელიძე საბჭოთა ნაკრებთან ერთად ბრაზილიაში გავემგზავრეთ მსოფლიოს ჩემპიონატზე, — მიამბო ერთხელ ბატონმა ანზორმა. — ჩვენმა გუნდმა მესამე ადგილი დაიკავა. შეჯიბრების დამთავრების შემდეგ საბჭოთა საელჩოში ბანკეტი გაიმართა, რომელზეც ყველა დელეგაცია მიიწვიეს. ვლადიმერ უგრეხელიძემ სადღაც რაჭველი მზარეული აღმოაჩინა. მან რომ გაიგო, ქართველები ვიყავით, ცალკე ოთახში ჩვენებური სუფრა გაგვიშალა მწვადითა და საფერავით. რამდენიმე ჭიქის შემდეგ ღვინომ თავისი ქნა და სიმღერა შემოვძახეთ. მალე ცეკვაც გავაჩაღეთ. თანდათან სხვა დელეგაციების წევრებიც შემოგვიერთდნენ. მოკრძალებული სამთავრობო ბანკეტი ქართულ ლხინად ვაქციეთ. მეორე დილით საუზმის შემდეგ ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელმა სემაშკომ, რომელიც თავისი სიმკაცრითა და ქართველებისადმი არაკეთილმოსურნე განწყობილებით იყო ცნობილი, გამოგვიცხადა, ქართველები ჩემთან ნომერში მოხვალთო. გურამს და ვოვას ვუთხარი, ჩვენი საკალათბურთო კარიერა დამთავრდა-მეთქი. ფეხათრევით შევედით სემაშკოს ოთახში. ჩვენდა გასაოცრად, იგი ღიმილით შემოგვეგება და დელეგაციის სახელით მადლობა გამოგვიცხადა. დაბნეულობა რომ შეგვატყო, განგვიმარტა, ჩვენს ელჩს თქვენი გუშინდელი მხიარულება მოეწონაო. ცხოვრებაში პირველად და უკანასკნელად ასე დავიმსახურეთ ქეიფისთვის ოფიციალური მადლობა...

დიდბუნებოვანი პიროვნება გახლდათ ანზორ ლეჟავა. ჭიანჭველასაც არ დაადგამსო ფეხს, ამბობდნენ გოლიათზე. უკურნებელმა სენმანაადრევად გაჰყარა ოჯახს — 1997 წელს 61 წლისა გარდაიცვალა. დღეს მას 80 წელი შეუსრულდებოდა.

**ვაჟა დანელია**

უკონკურენტოდ

# მხოლოდ დავით ქევხიშვილი



**31 აგვისტოს 18 საათზე დასრულდა საქართველოს ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტობის მსურველთა განაცხადების მიღება. ფედერაციაში ერთადერთი — დავით ქევხიშვილის განაცხადი შევიდა. საქართველოს ძიუდოს ფედერაციის საანგარიშო-საარჩევნო ყრილობა 2016 წლის 30 სექტემბერს გაიმართება.**

ყრილობის დღის წესრიგი:

საქართველოს ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტის მოხსენება — ოთხწლიანი ანგარიში;

საქართველოს ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები;

ვიცე-პრეზიდენტების და აღმასკომის წევრების დამტკიცება;

სხვადასხვა.

ყრილობის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებს ხმის უფლების მქონე 36 დელეგატი.

ყრილობის მონაწილე ხმის უფლების მქონე კლუბები:

*„შევარდენი 2005", „ლიდერი", „ჯორჯია", „ოლიმპი", „ვიპ ძიუდო", „ხაბარელი", თენგიზ ნავერიანის სახელობის ძიუდოს კლუბი, „ფალავანი", „დურმიშხანი", „მებრძოლი", „საგარეჯო ფფ სუპერსთარზი", „გორი", „ფშაველა", „გლადიატორი", „შავი ავაზა", „ელვა", „ვარსკვლავი 2024", „ბათუმი", „ჭერათხევი", „ახმეტა", „პანკისი", „დოჯო", „არსენა", „ფალავანი 2020", „ალგეთი", „ფრონეს ხეობა", „ოქროს ვერძი".*

**კობა კობახიძე.**

ინტერნეტიდან

# ლენა გერცკე ძველებურად პოპულარულია

**გერმანელი ფეხბურთელის სამი ხედირას ყოფილმა სატრფომ ლენა გერცკემ უკვე დაიპყრო ევროპული ბულვარული ჟურნალ-გაზეთების გარეკანები. მას მომხიბვლელობასთან ერთად სითამამეც უწყობს ხელს იმაში, რომ თავისი უზადო სხეული საქვეყნოდ ამზეუროს.**

ლენა გერცკე ტოპ-მოდელთა კატეგორიას განეკუთვნება და მისი კარიერა ამჟამად დიდ აღმასვლას განიცდის. ხედირას ექსგულისსწორი ამ ეტაპზე ძირითადად მადრიდში მოღვაწეობს და ხედირაზე მხოლოდ წარსული მოგონებებიღა შემორჩა, მაგრამ წარსულის ადვილად დავიწყება ვის გაუგია?



სამი ხედირას კიდევ უფრო ძველი სატრფო ლუიზა რუვერე უფრო ბნელ წარსულში დარჩა. სკანდალების მოყვარე ჟურნალისტებმა ფეხბურთელს რამდენჯერმე კიდეც ჰკითხეს, „შენ თუ კარგი კაცი ხარ, ძველი სატრფოები რატომ მიატოვეო", მაგრამ ხედირას, როგორც ჩანს, სათქმელის არქონის დროს პირის დამუწვა კარგად ეხერხება.

**როსტომ რაჭველიშვილი**

ეკოლოგია

# რატომ იჩეხება ტყე?..

**რატომ არ ჩატარდა ბოლო წლებში ბორჯომში ხეების სანიტარიული ჭრა და რატომ გახდა საჭირო წელს მათი მასობრივი მოჭრა?** — ამ კითხვაზე სატყეო სააგენტოს ხელმძღვანელს თორნიკე გვაზავას პასუხი არ აქვს. ამასთან, იგი აღიარებს, ეს ჭრა რომ ადრე განხორციელებულიყო, ახლა ამდენი ხის მოჭრის აუცილებლობა არ დადგებოდა.

**„ბოლო 3-4 წლის განმავლობაში სანიტარიული ჭრა არ ჩატარებულა. მე არ ვიცი რა იყო ამის მიზეზი. ეს ჭრა რომ ადრე განხორციელებულიყო, ახლა ამდენი არ მოიჭრებოდა. როდესაც გაჩნდა ქერქიჭამია და ვერ მოუარეს, აუცილებლად უნდა მოჭრილიყო ხეები და დამწვარიყო ქერქი, რაც დღეს ხდება. რაც შეეხება თვითონ პროცესს, პროცესი ჩვენ არ გაგვიჭიანურებია. ჩვენ ვცადეთ ფერომონების გამოყენებით მოგვეგვარებინა ეს პრობლემა, თუმცა ამან უკვე აღარ მოგვცა შედეგი და ყველანაირი მეცნიერული დასკვნის საფუძველზე სასწრაფოდ მოსაჭრელი გახდა ხეები. ასეთი განახლება ბუნებრივია და მეტყევური პროცესია. ახლა ამ ტყის გადარჩენის სხვა შანსი არ არის,“** — განაცხადა თორნიკე გვაზავამ.



„კომერსანტი“ ადგილობრივ მცხოვრებლებსაც გაესაუბრა, რომელთა განცხადებით, მოჭრილი ხეები მერქნიანად დიდი ხნის განმავლობაში იდო გარეთ, რაც დაუშვებელია, რადგან მავნებელი ამ მორების მერქნიდან სხვა ხეებზე გადადის. ადგილობრივების თქმით, მერქნის დაწვის პროცესი მხოლოდ მინისტრის ჩასვლისთვის დაიწყო და ახლა აქტიურად მიმდინარეობს, რაც კარგია.

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი **გიგლა აგულაშვილი** კი აცხადებს, რომ ბორჯომში ჯანმრთელი ხეების მოჭრის ალბათობა გამორიცხულია და ტერიტორიაზე მხოლოდ სანიტარიული ჭრები მიმდინარეობს.

**„სამინისტრო როგორც მწერებს, ისე სხვა სახის დაავადებებს რამდენიმე ფორმით ებრძვის. მათ შორის, სანიტარიული ჭრის, შეწამვლის თუ ფერომონების საშუალებით. ეს მეთოდები გამოიყენება იმის ადეკვატურად თუ რომელ დაავადებასთან გვაქვს საქმე. ამ შემთხვევაში ბორჯომის პლატოზე არის გავრცელებული მწერი მბეჭდავი ქერქიჭამია, რომელიც აზიანებს ასაკიან ხეებს. იქ სადაც ფერომონებით ბრძოლას არ აქვს ეფექტი, ვიყენებთ სანიტარიული ჭრის მეთოდს. დაავადებული ხე ინომრება, შემდეგ ხდება მისი გაქერქვა. გაქერქვის შემდეგ კი მწერები და მისი ჭუპრები იღუპებიან. შესაბამისად, ამ პროცესს აქვს პოზიტიური შედეგი. ხდება ტყის განახლება“,** — აღნიშნა გიგლა აგულაშვილმა.

მისი თქმით, აღნიშნულ დაავადებასთან საბრძოლველად შეწამვლის მეთოდი არ გამოიყენება. ბრალდება იმის შესახებ, რომ სანიტარიული ჭრები დაგვიანებით მიმდინარეობს, აბსურდულია.

**„ასევე გახსოვთ, რომ ცოტა ხნის წინათ აქ იყო სტიქია, მსგავსი სტიქია აქაურობას არ ახსოვს, ასწლოვანი ხეები ძირიანად მოთხარა. ამ ეტაპზე დაავადებასთან ბრძოლის სამუშაო პროცესი მიდის. ის რაც გასაქერქია, გაიქერქება, არცერთი ჯანმრთელი ხე არ იჭრება“,** — აღნიშნავს გარემოს დაცვის მინისტრი.

ბორჯომში ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ინფორმაციით, სანიტარიული ჭრები მიმდინარეობს წინა ზოლზე, პლატოს ტერიტორიაზე. ჭრებს აწარმოებს სატყეო სააგენტო.

COMMERSANT.GE

## სანთელი

**გოგი ლორთქიფანიძე, ვაჟა ლორთქიფანიძე ოჯახებით ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ**

**ელენე წინამძღვრიშვილის**

**გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ ბეჟან და მიხეილ წინამძღვრიშვილებს, მათი ოჯახის წევრებს.**

კრიმინალი

## ნარკოტიკები საბაჟოზე ჩამოართვეს

**18-30 აგვისტოს, საბაჟო გამშვებ პუნქტებში „მტკვარი“ და „ყაზბეგი“, მებაჟე ოფიცრებმა, ეჭვის საფუძველზე დათვალიერების შედეგად, ნარკოტიკული ნივთიერებების შემცველი მედიკამენტები (78 აბი) აღმოაჩინეს.**

საქმის მასალები შემდგომი რეაგირების მიზნით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის ერთეულებს გადაეცათ.

## სასტუმროს ეზოში ავტობუსი შევარდა

**ისანში, სასტუმრო „რიჩის“ ეზოში გუშინ ყვითელი ავტობუსი შევარდა, რომელსაც 20-მდე მგზავრი გადაჰყავდა.** სასწრაფო-სამედიცინო დახმარების სამსახურის ინფორმაციით, სამედიცინო დაწესებულებებში 18 ადამიანია გადაყვანილი. არსებული ინფორმაციით, არცერთის მდგომარეობა მძიმე არ არის და დაშავებულებს ზედაპირული ტრავმები აღენიშნებათ.

## მკვლელობა ვაკეში

**უკვე ცნობილია ვაკეში მომხდარი შეიარაღებული თავდასხმის დროს გარდაცვლილი ახალგაზრდა მამაკაცის ვინაობა.** არსებული ინფორმაციით, ის სოსო ჯოხაძეა. მკვლელობა ფალიაშვილისა და რიგის ქუჩების კვეთაზე მოხდა. თვითმხილველების თქმით, შავი ფერის ჯიპს ერთი შეიარაღებული პირი დაესხა თავს, რომელმაც 5-6 -ჯერ ისროლა და გაიქცა. მძღოლი ადგილზე გარდაიცვალა, მგზავრი კი საავადმყოფოშია გადაყვანილი.

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 2016 წლის 30 აგვისტოს №160—ში გამოქვეყნებული იყო კომპანია „ტეხური ენერჯის“ ადმინისტრაციის განცხადება მდინარე ტეხურაზე ჰიდროელექტროსადგურების პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის საჯარო განხილვის შესახებ.**

კომპანიის დაგეგმილ საქმიანობაში, ამ პროექტთან დაკავშირებული მონაწილეების საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, მდინარე ტეხურაზე ჰიდროელექტროსადგურების პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის მეორე საჯარო განხილვა, ნაცვლად ა/წლის 17 ოქტომბრისა, ჩატარდება 2016 წლის 19 ოქტომბერს, 14 საათზე, მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქ. მარტვილი, თავისუფლების ქუჩა №10).

საზოგადოების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა 2016 წლის 15 ოქტომბერი ($14^{00}$ საათამდე).

**კომპანია „ტეხური ენერჯის“
ადმინისტრაცია**

საგარეო ვაჭრობა

# მედიკამენტების დომინანტით

**სხვადასხვა წლებში და, ზოგჯერ, ერთი წლის მანძილზეც კი, საქართველოს უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორთა ნუსხა გარკვეულ ცვლილებებს განიცდიდა, თუმცა კი მოწინავე პოზიციებს მუდამ ტრადიციული კომპანიონები — აზერბაიჯანი, რუსეთი, თურქეთი, უკრაინა იკავებდნენ.**

ბოლო დროს კი ამ ერთგვარად ჩამოყალიბებულ ნუსხაში შედარებით ახალი ქვეყანა — კანადა გაჩნდა, თუმცა კი მას მუდამ განსაკუთრებული ადგილი ეკავა ჩვენს საგარეო-სავაჭრო ურთიერთობებში.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2016 წელს **კანადა** ქვეყნის ყველაზე მსხვილი სავაჭრო პარტნიორი იყო, რომელთან საქონელბრუნვის ფულადმა გამოხატვამ რვა თვეში 1,3 მილიარდ დოლარს გადააჭარბა. საგარეო-სავაჭრო პარტნიორთა პირველ სამეულში საქართველოს უახლოესი მეზობელი ქვეყნებია — **თურქეთი** (891 მილიონი დოლარი) და რუსეთი (460 მილიონი დოლარი). რაც შეეხება დანარჩენ ქვეყნებს, მათ შორის უდიდეს სავაჭრო პარტნიორთა პირველ ათეულში ასევე არიან **ჩინეთი, აზერბაიჯანი, ირლანდია, გერმანია, უკრაინა, სომხეთი და იტალია**. ყველაზე დიდ სავაჭრო პარტონიორებთან საქართველოს საქონელბრუნვა მთელი მოცულობის 70 პროცენტია.

ბუნებრივია, რომ საგარეო-სავაჭრო ურთიერთობებში ისეთი ძლიერი ეკონომიკის მქონე ქვეყნის გაჩენა, როგორიცაა კანადა, თავისთავად, დიდად სასიამოვნო გარემოებაა, ამასთან, ვფიქრობთ, საინტერესოა იმის გაგებაც, თუ რას ვყიდით კანადაში და რა საქონელი შემოგვაქვს იქიდან.



საქსტატის მონაცემებით, სამამულო ექსპორტის სასაქონლო ჯგუფებია **დამუშავებელი ან ნახევრად დამუშავებული ოქრო, ფეროშენადნობები, თხილი, ნატურალური ღვინოები და მინერალური წყლები**. კანადური იმპორტის მთავარი სასაქონლო ჯგუფებია **სამკურნალო საშუალებები, გაყინული თევზი, ღორისა და შინაური ფრინველის ხორცი, მსუბუქი ავტომანქანები**.

როგორც ვხედავთ, ისევე, როგორც წლების მანძილზე, ეროვნული ექსპორტის უმთავრეს სასაქონლო ჯგუფებს მაინც ნედლეული და სოფლის მეურნეობის ტრადიციული საქონელი წარმოადგენს, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ ქვეყანაში აუცილებელია როგორც მაღალტექნოლოგიური წარმოების, ასევე გადამმუშავებელი დარგის უსწრაფესი განვითარება. ამის აუცილებლობას საექსპორტო საქონლის ყველაზე დიდი სასაქონლო ჯგუფის ნუსხაც მოწმობს — მასში მხოლოდ პირველადი მოპოვების პროდუქცია და რეექსპორტული საქონელია: კერძოდ, მთელი ექსპორტის 15 პროცენტი და სასაქონლო ჯგუფებს შორის პირველი ადგილი **სპილენძის მადანსა და კონცენტრატებს** უკავია, რამაც ფულადი გამოხატვით 171 მილიონი დოლარი შეადგინა.

ამ პოზიციაზე მეორე ადგილზეა **ფეროშენადნობები** (შესაბამისად, 9 პროცენტი და 100 მილიონი დოლარი), მესამეზე კი **მსუბუქი ავტომანქანების** ჯგუფი (8 პროცენტი, 87 მილიონი დოლარი).

სულ სხვა სურათი გვაქვს საიმპორტო საქონლის ჯგუფების ჩამონათვალში, სადაც უპირობო ლიდერია **სამკურნალო საშუალებები**, რომლის ფულადმა ღირებულებამ წლეულს რეკორდული 1,708 მილიონი დოლარი შეადგინა. ასეთი დიდი მაჩვენებელი იმითაა განპირობებული, რომ, როგორც ცნობილია, წლეულს საქართველოში C ჰეპატიტთან ბრძოლის უპრეცედენტო კამპანია მიმდინარეობს, რომლის ფარგლებშიც შემოტანილი მედიკამენტების ფასი ძალიან მაღალია — მათ წილად მთელი მოცულობიდან 1,558 მილიარდი დოლარი მოდის.

იმპორტირებული სასაქონლო ჯგუფების მოწინავეთა ჩამონათვალში ამჯერად მეორე ადგილზე, ტრადიციულად, **ნავთობი და ნავთობპროდუქტებია,** რომელსაც 306 მილიონი დოლარით შემოზიდული საქონლის 6 პროცენტი უკავია. მეორე ადგილზე კი, როგორც აღვნიშნეთ, **მსუბუქი ავტომანქანებია** (5 პროცენტი, 275 მილიონი დოლარი).

**ოთარ ტურაბელიძე**

**დღესასწაული**

# მარიამ ღვთისმშობლის ხატი „ქართული“



**4 სექტემბერს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს ღვთისმშობლის ხატის „ქართული“ ხსენებას.**

გადმოცემით ღვთისმშობლის ხატი „ქართული“ სასწაულმოქმედია და ის არხანგელსკის ეპარქიაში, კრასნოგორის მონასტერში იმყოფება. მისი ზუსტი ასლი არის მოსკოვში, ბარბარეს კარიბჭესთან მდებარე წმიდა სამების ეკლესიაში.

ღვთისმშობლის ხატის „ქართული“ შესახებ მრავალი ცნობა არსებობს, კერძოდ, როცა შაჰ აბასმა 1622 წელს საქართველო ააოხრა, სპარსელებმა აქედან მრავალი წმინდა ნივთი გაიტაცეს, მათ შორის ღვთისმშობლის ქართული ხატი, ის, იმჟამად სავაჭრო საქმეზე გაგზავნილმა რუსი ვაჭრის გრიგოლ ლიტკინის დამკვეთმა სტეფანე ლაზარევმა იყიდა.

თურმე რუს ვაჭარს გრიგოლ ლიტკინს სიზმარეულ ხილვაში სტეფანე ლაზარევის მიერ ირანიდან წამოღებული განძის შესახებ ეუწყა და ებრძანა, რომ ის არხანგელსკის ეპარქიაში, კრასნოგორის მამათა მონასტრისთვის შეეწირა.

აღსანიშნავია, რომ სტეფანეს სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ლიტკინი ღვთისმშობლის ხატს დიდი სიხარულით შეხვდა და დვინის საზღვრებამდე გააცილა, მთაზე დაარსებულ შავი მთის სავანეში, რომელიც ულრანი ტყით არის შემორტყმული და ამის გამო უძველესი დროიდან შავ მთად მოიხსენიება. მოგვიანებით მთას და მონასტერსაც სახელი შეეცვალა და მას წითელი მთა ეწოდა...

ქართული ღვთისმშობლის ხატის შემობრძანებამ მოსკოვში ჭირიანობა შეწყვიტა. აი, რა წერია 1698 წელს გამოცემულ სიგელში: „...ქართული ხატის მეშვეობით და შეეწეობით ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი უწინ და დღესაც მრავალ სასწაულსა და კურნებას აღუსრულებს ყველას, ვინც მას სარწმუნოებით მიმართავს“.

ვისურვოთ, ქართული ხატის შემწეობით საქართველო გამთლიანდეს, ამინ!

**გიული ლიპარტია**

**რა? „სად? როდის?“**

# ინტელექტუალები თბილისში იკრიბებიან

**თბილისი ინტელექტუალური ფესტივალის „რა? სად? როდის?“ პირველ საერთაშორისო ღია თასს მასპინძლობს.**

მერიის ცნობით, თბილისის ზღვის ახალ ქალაქში, სასტუმრო „ჰოთელს ენდ პრეფერანსში“, ფესტივალის გახსნის ღონისძიებას თბილისის მერი დავით ნარმანია მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსთან ირაკლი გვილავასთან ერთად დაესწრო. დავით ნარმანიამ კონკურსის მონაწილეებს სიტყვით მიმართა და წარმატებები უსურვა.

**„მას შემდეგ, რაც გასულ წელს წარმატებით ჩატარდა მსოფლიო ჩემპიონატი ინტელექტუალურ თამაშში საფუძველი ჩაეყარა ფესტივალის თბილისში ყოველწლიურად ჩატარების ტრადიციას. ფესტივალის ჩვენს დედაქალაქში გამართვა მნიშვნელოვანია განათლების და, საერთოდ, ქალაქის პოპულარიზაციისთვის, რადგან ჩამოდის ბევრი უცხოელი მონაწილე და ფესტივალში მონაწილეობის გარდა ეცნობა ქალაქს. თბილისის მერია აღნიშნულ პროექტს მხარს ყოველწლიურად დაუჭერს“** – განაცხადა თბილისის მერმა.

ფესტივალში 14 ქვეყნის 400-მდე მოაზროვნე მონაწილეობს.

საქართველოს ღირსებას ფესტივალზე 25 გუნდი დაიცავს. მათ შორის, დავით რაფავას, გიორგი ბაქრაძის, ბესიკ ბუთურიშვილის, დავით სიჭინავას და ალექსანდრე თარხან-მოურავის ნაკრები. ფესტივალის გამარჯვებული მსოფლიოს მე-14 ჩემპიონატის საგზურს მოიპოვებს. ჩემპიონატი 11-13 ნოემბერს სომხეთში გაიმართება.

„რა? სად? როდის?“ გარდა, ღონისძიების პროგრამაშია ინტელექტუალური თამაშები „ჯეოპარდი“ და „ხამსა“.



საერთაშორისო ინტელექტუალურ ტურნირს, 4 სექტემბერს, ნიკო ფიროსმანის მუზეუმი უმასპინძლებს.

# ლევილი საბოლოოდ სექტემბრის ბოლოს გადმოგვეცემა

**ლევილის მამულის საქართველოსთვის გადმოცემის აქტს სექტემბრის ბოლოს ლევილში ხელი მოეწერება.**

დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინფორმაციით, პარიზში, საქართველოს საელჩოში შედგა ლევილის შატოს მამულისა და ქონების საქართველოსათვის გადმოცემის დასკვნითი ნოტარიული ხელმოწერის სხდომა, რომელსაც დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი გელა დუმბაძე თავმჯდომარეობდა.



სხდომა ხუთი საათის განმავლობაში მიმდინარეობდა. მხარეებს შორის შეთანხმდა ლევილის მამულის საქართველოსათვის გადმოცემის უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებები და ნოტარიულ აქტზე ხელმოწერისათვის წინასწარ მოსამზადებელი ტექნიკური დეტალები.

ლევილის მამულის საქართველოსათვის გადმოცემის ნოტარიულ აქტზე საბოლოო ხელმოწერის თარიღად სექტემბრის ბოლო დასახელდა.

ხელმოწერის ცერემონიალი ლევილის შატოს მამულში გაიმართება.

# თბილისში ყოველდღიურად 400 000 ავტომობილი გადაადგილდება!



დედაქალაქის მერის დავით ნარმანიას ინფორმაციით თბილისში 2010 წელთან შედარებით ავტომანქანების რაოდენობა გაორმაგებულია და დღეისთვის საშუალოდ 400 000 მანქანა გაადადგილდება. მერიაში გამართულ შეხვედრაზე მან საცობების განმუხტვისა და საგზაო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით გატარებულ ღონისძიებებზე ისაუბრა.

**„თუ თბილისში 2010 წელს საშუალოდ 200 000 მანქანა გადაადგილდებოდა, 2016 წლისთვის ეს რიცხვი გაორმაგებულია და 400 000 მანქანა გადაადგილდება ყოველწლიურად. შესაბამისად, მუდმივად მზარდი ავტომანქანების რაოდენობის პირობებში ძალიან ძნელია, მივდიოთ ამ ყველაფერს თავიდან ბოლომდე და ქალაქში არ გვქონდეს საცობები. ყველაფრის თავი და თავი ავტომობილების მზარდი რიცხვია, რასაც მოსდევს ქალაქის ცალკეულ უბნებში საცობები. ის რეგულაციები და ინსტრუმენტები, რაც ჩვენს ხელთ არის, მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ იმისთვის, რომ რაც შეიძლება ნაკლები იყოს გადაადგილების დროს დისკომფორტი“,** – განაცხადა დავით ნარმანიამ.

მისივე თქმით, სააკაძის მოედანზე შუქნიშნების ჩართვის შემდეგ აღნიშნულ ტერიტორიაზე არც ერთი ავარია არ მომხდარა.



**„პირველადი დაკვირვების შედეგებიდან გამომდინარე, აქ მოძრაობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. შუქნიშნების ჩართვის შემდეგ არც ერთი ავარია სააკაძის მოედანზე არ მომხდარა, მაშინ როცა საკმაოდ ინტენსიური იყო ავარიების რიცხვი. მას შემდეგ რაც ქალაქი სრულად დაიტვირთება ავტომანქანებით, კიდევ ერთხელ გამოიცდება ეს კვანძი და ვნახავათ მის საბოლოო შედეგს. ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ის იმ მიზანს მიაღწევს, რა მიზნისთვის ეს პროექტი განვახორციელეთ“,** – განაცხადა დავით ნარმანიამ.

მისივე თქმით, ორ-სამ კვირაში ვაკის პარკისა და კუს ტბის დამაკავშირებელ საბაგიროს პროექტი დასრულდება და საბაგირო გაიხსნება.


რეკლამა

„საქართველოს რესპუბლიკაში“

სულხან-საბას ქ. №3. 29 3-13-34; 599 797679



საქართველოს რესპუბლიკა

SAKARTVELOS RESPUBLIKA

სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323

ISSN 2233-3851



ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.



„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!


**უცხოური ვალუტის კურსი:**

აშშ დოლარი - 2.293; ევრო - 2.556;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.039;
100 რუბლი - 3.514; თურქული ლირა - 0.776;
აზერბაიჯანული მანათი - 1.380;
1000 სომხური დრამი - 4.834.

**ამინდი 3 სექტემბრისთვის**

| | | |
|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე +15, | დღე +27 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +7, | დღე +27 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე +15, | დღე +34 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +12, | დღე +30 |
| თბილისი: | ღამე +18, | დღე +26 |


დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE